საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

პარასკევი, 14 იანვარი 1921 წ.

# ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი [illegible] ველგან 20 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, მუსახევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან. რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 9 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 9


## საქართველოს ცენტრალური გადამზღვევი და თანადამზღვევი საზოგადოება

## „კავშირი“

(ძირითადი თანხა 100.000.000 მან.)

### დამფუძნებელნი: საქართველოს ცენტრალური სავაჭრო-სამრეწველო ბანკი კავკასია-სპარსეთის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა.

საყოველთაოდ ვაცხადებთ, რომ, თანახმად დამტკიცებული 1920 წ. დეკემბრის 10-სა წესდებისა, საზოგადოების საორგანიზაციო კომიტეტი უკვე შეუდგა წინასწარ მუშაობას. დამყარებული თანამშრომლობის პრინციპზე იმ დაწესებულებებთან და წარმოებებთან, რომელნიც დაინტერესებულნი არიან რესპუბლიკაში დაზღვევის საქმის ნორმალურ პირობების შექმნაში, საზოგადოება „კავშირი“ იღებს საქმის საფუძვლათ შემდეგ პრინციპებს:

1) საქმის ფართო დემოკრატიზაცია, რათა საპაიო წევრებათ, გარდა სახელმწიფოებრივ და სოციალურ დაწესებულებათა, მოწვეულნი იქნენ ყველა წარმოებათა, დამზღვევთა და კერძო პირთა, რომელნიც დაინტერესებულნი არიან რესპუბლიკაში დაზღვევის საქმის რაციონალურ პირობების შექმნაში.

2) ხელის შეწყობა თვით დაზღვევის საქმის ნორმალურ ფარგლებში ჩაყენებისა და ამნაირად მიზანშეწონილი გაფართოება დაზღვევის თანხების მთელი რიგისა.

3) რესპუბლიკის მთელი დაზღვევის საქმის კონსოლიდაცია საზოგადოება „კავშირში“, რათა სახელმწიფოსთვის გაადვილებული იქნეს შესაძლებლობა მთელი საქმის უძლიერესობის გათვალისწინებისა ყოველ დროს, მისი კონტროლისა და აგრეთვე საქმის დროზე შეფარდებისა რესპუბლიკაში არსებულ ან მომავალში შექმნილ პირობების და მიხედვით. საზოგადოების პაიებზე ხელის მოწერა ცალკე იქნება გამოცხადებული.

საორგანიზაციო კომიტეტი დროებით მოთავსებულია დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ტელეფ. 13—66, კავკასია-სპარსეთის სავაჭრო სამრეწველო ამხანაგობის კანტორასთან.

(145—1—1)

საორგანიზაციო კომიტეტი



ნინო პეტრეს ასული სტურუასი შვილებით: ისიდორე, ანტონ, დავით და რძლებით: ნინოთ და აგაშათი ამით აცნობებენ ნათესავებს, და ნაცნობთ, რომ კვირას 16 ამ თვეს ქ. სამტრედიაში ივანე ნათლისცემის ეკლესიაში დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდა საყვარელ და დაუვიწყარ პირველის რძლის და დანარჩენის აღზრდილი ბიცოლას

**დომნა იოანეს ასულის სტურუას**

სულის მოსახსენიებლად. (163—1—1)



## სახელმწიფო დრამის თეატრი.

შაბათს, იანვრის 15-ს

პირველად პრემიერა!

## მარიამ მაგდალინელი

გლ. ალექსი-მესხიშვილის მიზანსცენებით.

მონაწილეობს მთელი დასი.

მასიური სცენები მორიგი რეჟისორი:

ხორო ზ. გერიშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ამ წარმოდგენისათვის აღებული ბილეთები 8 იანვრის თარიღით გამოდგება 15 იანვარს.

დარჩენილი ბილეთები კასაში. (ნ.—3 2)



## ოზურგეთის კომერციული ბანკის

## „ოზკომბანკი“-ს

საორგანიზაციო კომიტეტი ამით აცხადებს, რომ ბ-ნ ფინანსთა მინისტრის მიერ ბანკის წესდება დამტკიცებულია 1920 წ. 23 დეკემბერს და ამა 1921 წლის 5 იანვრიდან დაიწყება ხელის მოწერა ხსენებულ ბანკის აქციებზე.

### ძირითადი თანხა ბანკისა განსაზღვრულია 5 მილიონი მანეთით.

თითო აქცია ღირს 1000 მანეთი, ათი აქცია იძლევა ერთი ხმის უფლებას. ხელის მოწერის დროს უნდა იქნეს შემოტანილი აქციის ღირებულების პირველი ნახევარი (500 მ.) და საორგანიზაციო ხარჯების დასაფარავათ ერთდროულათ ორასი (200) მანეთი თითო აქციაზე.

ხელის მოწერა მიიღება 5-დან 30 იანვრამდე შემდეგ ადგილებზე:

ქ. ოზურგეთში საურთიერთო ნდობის საზოგადოების ბანკში.

ქ. თფილისში „ცენტრო ბანკში“.

ქ. ქუთაისში დასავლეთ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო ბანკში.

ქ. ბათომში კონსტანტინე სიკოს ძე ტულუშთან და ივანე დავითის ძე გოთუასთან.

ქ. ფოთში აქციონერულ სავაჭრო-სამრეწველო ბანკში.

ქ. ლანჩხუთში თეოფანე პეტრეს ძე სიხარულიძესთან.

ქ. ჩოხატაურში ფიოდორ ბიჭიას ძე ჩხიკვაძესთან და მასიკო ნიკოლოზის ძე ცინცაძესთან.

ოზურგეთის კომერციული ბანკის საორგანიზაციო კომიტეტი.

(ნ. 3—1)



## სახელმწიფო ოპერა

პარასკევს, 14 იანვარს

## სიმფონიური კონცერტი

პოროვსკის და ბელოუსოვის მონაწილეობით. შაბათს, 15 იანვარს მუშებისათვის ოპერა. დასაწყისი 8 საათზე. (ნ. 1—1)



## გზათა დეპარტამენტი აცხადებს

## კონკურსს

მდინარე ენგურსა და რიონის-წყალზე ასაშენებელ რკინის გზის 25 საჟენიან მანძილის ფერმების ხის ხიდების პროექტების შესადგენად. საუკეთესო პროექტებისათვის დანიშნულია

## პრემიები

საერთო ჯამით 500.000 მან. კონკურსის პირობების მიღება შეიძლება გზათა დეპარტამენტის ბუხჰალტერიაში 100 მანეთად ცალი. (ნ. 3—2)



## საზოგადოებო კლუბის გამგეობა

ამით აცხადებს ბ.ბ. წევრების და კანდიდატების საყურადღებოთ, რომ ბილეთების განახლების ვადა თავდება მ/წ. 20 იანვარს, რის შემდეგ შეწყვეტილი იქნება შესატანის მიღება. (161—1—1)



## ნევთძრავა

(Нефтяной двигатель)

„ოტტო-დეიცისა“ 8—10 ძალიანი, სასწრაფოდ იყიდება. ცნობების მიღება დილის 9 საათ—5 საათ. ამხ. „კავკაზისა“ თამბაქოს ფაბრიკაში ავლაბარი პეტრე-პავლეს ქ. პროვიანტის მოედნის კუთხე, საღამოს 5—7 საათ. განოვის ქ. № 6. ლევენსონი.

155—1—1)


## ქავთარაძის ნოტის გამო

ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერში იბეჭდება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ბ. ქავთარაძის ნოტა საქართველოს მთავრობისადმი შესახებ 14 ნოემბრის ხელშეკრულობის აუსრულებლობისა. ეს ნოტა დაგვიანებით არის გამოქვეყნებული: იგი დაწერილია 30 დეკემბერს. ნოტაში აღნიშნული ფაქტები დიდი ხანია საბოლოოდ ამოწურულია. ისე რომ ჩვენთვის საჭირო არ არის ამ ფაქტების დარღვევა და სიმართლის აღდგენა. როგორც ყოველთვის, საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ნოტა თავიდან ბოლომდის სავსეა მოგონილ ან დამახინჯებული ფაქტებით. მაგრამ მათი დარღვევა ჩვენი მთავრობის მოვალეობას შეადგენს. ჩვენთვის კი ყველაზე საინტერესოა თვით ნოტის დახასიათება და ამ ნოტიდან ამოკითხვა იმ დაფარული სურვილებისა, რომლებსაც გულში ზრდიან საქართველოსადმი საბჭოთა რუსეთის მოღვაწენი და საერთოდ კომუნისტები.

საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი ბ. ქავთარაძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ „ნავთის საკითხის გადაჭრა სავსებით დამოკიდებულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე“ და რომ ნავთის მიუღებლობა აიხსნება მხოლოდ იმ გარემოებით, რომ საქართველო არ ასრულებს საბჭოთა რუსეთის და აზერბეიჯანის წარმომადგენლებთან დადებულ პირობებს. ეს გადმობრალება არ ახალია, ძველია. თვალი რომ გადაავლოთ საქართველოს და საბჭოთა სახელმწიფოების ურთიერთობის ისტორიას, ასეთს შთაბეჭდილებას მივიღებთ, რომ საქართველოს თავი ვერ დაუხწევია ამ სახელმწიფოთა მიზეზიანობისათვის. მას აქეთ, რაც ჩვენი და რუსეთის ურთიერთობა ჩადგა, ასე ვთქვათ, შეთანხმების და მოლაპარაკების ჩარჩოებში, ჩვენი მოლაპარაკება მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ საბჭოთა რესპუბლიკები აცხადებენ შეთანხმებას ან მის ასრულებას ესა და ეს დაბრკოლება ეღობება წინ. საქართველო კი საოცარის მოთმინებით აბათილებს ამ დაბრკოლებებს. მაგრამ ვერ მოასწრებს იგი ერთი „გარდუვალი“ დაბრკოლების გაბათილებას, რომ მის ადგილას კომუნისტები წამოაყენებენ მეორეს, არა ნაკლებ „გარდუვალს“. და ეს სისტემატიურად ასე გრძელდება უკვე 7 თვის განმავლობაში: ხელშეკრულობა და შეთანხმება ბევრია დადებული, მათი ასრულებისათვის კი ერთი მცირე ნაბიჯიც არ გადადგმულა საბჭოთა სახელმწიფოების მხრით.

დღეს ბ-ნ ქავთარაძის ნოტაში ისევ ეს ძველი ისტორია მეორდება, როგორც „сказка о бѣломъ бычкѣ“. ამ ნოტის დაწერამდისაც ჩვენ შეგვეძლო ზეპირად გვეთქვა მისი შინაარსი. იგი მხოლოდ ახლად მომიზეზებული ფაქტებით განსხვავდება საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების წინანდელი ნოტებისაგან, არსებითად კი იგი წარმოადგენს შეთანხმების აუსრულებლობაში თავის მართლებას და ამ აუსრულებლობის ბრალის საქართველოზე გადატანას.

ზოგიერთი ნიმუში ცხადათ დაგვანახვებს, თუ როგორ შეგნებულად ადგია საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა ამ შარიანობის და მიზეზიანობის პოლიტიკის გზას. ავიღოთ, მაგ., თუნდაც საკითხი კომუნისტების დაპატიმრებისა საქართველოს მთავრობის მიერ. ეს საკითხი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების ხელში ის დაჟანგებული იარაღია, რომელსაც იგი წამ და უწუმ წამოაყენებს ხოლმე, როდესაც სხვა მასალა შემოაკლდება. კომუნისტების დაპატიმრებით ამართლებდა იგი აზერბეიჯანთან პირველ ხელშეკრულობის შეუსრულებლობას. მაგრამ რადგანაც ამ საკითხში ცხადათ აღმოჩნდა ბევრი იმდენათ სადავო მხარეები, რომ დაპატიმრებულ კომუნისტების საქმე თვით საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის საზარალოდ უნდა შეტრიალებულიყო, ეს უკანასკნელი დათანხმდა იმაზე, რომ ეს საკითხი გაირჩეს ცალკე და ეკონომიური შეთანხმება საქართველოს და აზერბეიჯანს შორის ამ საკითხთან დამოუკიდებლად დაიდოს. ეს ასეც მოხდა და 14 ნოემბრის შეთანხმება დაპატიმრებულ კომუნისტთა საკითხი სრულიად მოხსნილი იქნა. მაგრამ საბჭოთა წარმომადგენლობამ კიდევ დაჰკრა 14 ნოემბრის შეთანხმების შესრულებაზე უარის თქმა და ბ. შეინმანმა ისევ ამოაძრინა დაპატიმრებულ კომუნისტების საკითხი. ამის შემდეგ კერძო მოლაპარაკებაში ამ საკითხის გამორკვევა ისევ გადადებული იქნა, მაგრამ ნავთის გამოგზავნა ბაქოდან თბილისში საბჭოთა მთავრობამ მაინც არ განახორციელა. და ამის გასამართლებლად დღეს ბ. ქავთარაძე მეოთხე თუ მეხუთეჯერ აყენებს ისევ იმ ძველს და თავის მომაბეზრებელს საკითხს. კომუნისტების დაპატიმრებისას, მან ისევე კარგათ იცის, ამ საქმის ვითარება, როგორც იცოდნენ მისმა წინაპრებმა—ბბ. კიროვმა, სტარკმა და შეინმანმა: მან იცის, რომ დაპატიმრებულ კომუნისტთა საკითხის არსებითად გარჩევა უთუოდ გათავდება საბჭოთა რუსეთის მისიის თანამშრომელთა მშრალზე გამოყვანით; მან უნდა იცოდეს, მაგ., რომ ზოგიერთი ამ დაპატიმრებულთაგანი ის პირნი არიან, რომლებიც უწინ დაპატიმრებულნი და საქართველოდან გაგზავნილი ყოფილან თავის ნამდვილ გვარით და დღეს კი გვარი გამოუცვლიათ და მისიის თანამშრომლის ნიღაბ ქვეშ აწარმოებდნენ აგიტაციას საქართველოს „სოვეტიზაციისათვის“.

ასეთივე ხასიათისაა ბ. ქავთარაძის ნოტაში მოხსენებული მეორე რიგის ფაქტები, რომლებიც საქართველოს პორტებში შემოხიზნულ გემებს შეეხება. არსებითად ამ საკითხის ვითარება ასეთია: შავი ზღვის პორტებში დგას რამდენიმე გემი, რომლებიც საქართველოს და რუსეთის შორის 7 მაისს დადებული ხელშეკრულობის ძალით საბჭოთა რუსეთის კუთვნილებათ არის გამოცხადებული. ამ გემების ჩვენს პორტებში დგომა ჩვენ არაფერს გვმატებს, გარდა აუარებელი ზრუნვისა და ხათაბალისა. რაც უფრო მალე იქნება ეს გემები გაყვანილი, საქართველოსთვის მით უკეთესი და ხელსაყრელი იქნება. მაგრამ მთელი უბედურობა იმაშია, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობას ვერ მოუხერხებია ამ გემების წაყვანა: მან იცის, რომ შავ ზღვაზე ამ გემებს უთუოდ მოსტაცებენ ისინი, ვინც არ სცნობს საბჭოთა რუსეთის უფლებას მათზე. და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობა დღეს ცდილობს ამ საზარალო გარემოებიდან ერთი სარგებლობა მაინც მიიღოს: მას მოუნდომებია საქართველოს პორტებიდან გემების გაუყვანლობა გადააბრალოს საქართველოსვე და გამოიყენოს საქართველოს საზიანოდ. ეს რომ ასე არ იყოს, ბ. ქავთარაძე არ მოინდომებდა გემების გადაცემის აქტის არ შედგენა საქართველოს მთავრობისათვის გადაებრალებინა. სხვა არა იყოს რა, მას უნდა გაცნობილი ჰქონდეს თუნდაც ის დადგენილება, რომელზედაც საქართველოს რწმუნებული (დიახ რწმუნებული ჰყავდა საქართველოს!) ბ. ანდრონიკაშვილთან ერთად ხელი აქვს მოწერილი საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელსაც (ბ. ზვერევი) და საიდანაც ცხადათ ჩანს, რომ ორივე მხარე საჭიროდ სთვლის გადაცემის აქტის შეკვრას არა ბათომში, არამედ თბილისში. 6 იანვარს ეს აქტი უკვე დაიწერა, ისე რომ რუსეთის წარმომადგენლობას შეთანხმების არ ასრულების ეს მიზეზიც ხელიდან გამოეცალა; მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ იგი მომავალში მოახერხებს ახალი მიზეზების გამოგონებას.

ამ ორი ნიმუშიდან ცხადი ხდება, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლობის მიერ წამოყენებულ მიზეზებს არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. მას რომ გულწრფელად უნდოდეს შეთანხმების შესრულება, ამას წინ არ გადაეღობებოდა არც ერთი სერიოზული მიზეზი. მთელი საქმე იმაშია, რომ მისი პოლიტიკის ფარულ მიზანს არ ეგუება საქართველოსთან დადებულ შეთანხმების ასრულება, და ეს აიძულებს მას ხან ერთი გარემოება მოიმიზეზოს, ხან მეორე. კომუნისტურ მოღვაწეთა მიზანია—საქართველო რაც შეიძლება მეტს გასაჭირში ჩააგდონ, შიგნით გამოიწვიონ ხალხის უკმაყოფილება არსებული წესების წინააღმდეგ, ამ გზით დაასუსტონ იგი, [illegible] მისი დამოუკიდებლობა და გადააქციონ იგი საბჭოთა რუსეთის ლუკმად. მაგრამ დარწმუნებით განვუცხადებთ კომუნიზმის მესვეურთ: საქართველოს დემოკრატია იმდენათ შეგნებულად ადგია თავის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გზას, რომ ამ დამოუკიდებლობას არ გაჰყიდის არც ბაქოს ნავთზე, არც ბენზინზე. და ამ საჭირო საგნების უქონლობა მას აამხედრებს მხოლოდ წინააღმდეგ იმ კომუნისტებისა, რომლებიც ასე უპირულად და ბარბაროსულად არღვევენ საქართველოსთან დადებულ შეთანხმებას.

## მიმდინარე ეკონომიური საკითხები

### 1. სასურსათო საქმე.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ სასურსათო საკითხის მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ხალხისა და სახელმწიფოსათვის.

ჩვენში სასურსათო პრობლემის გადაჭრას ბევრი რამ უშლის ხელს.

წინეთ საქართველო პურის დეფიციტს ფარავდა ჩრდილო-კავკასიიდან და ყუბანიდან შემოტანილი პურის ფქვილით. ეს დეფიციტი წლიურათ 3—4 მილიონ ფუთს შეადგენდა. როგორც რუსეთის შემადგენელი ნაწილი ჩვენ მაშინ ამას არ ვგრძნობდით. რუსეთი თავისი მოსავლით ასაზრდოებდა არა მარტო თავის პროვინციებს, არამედ ევროპაში გაჰქონდა დიდძალი ხორბლეულობა. თითქმის მარტო ამაზე იყო დამყარებული მთელი მისი საგარეო ვაჭრობა.

მარა ომისა და რევოლუციის შემდეგ რუსეთის ბაზარს მოვწყდით. თვით რუსეთში ისეთი მდგომარეობა შეიქნა, რომ თვისი მოსავალი ძლივს ყოფნით საკუთარი საჭიროების დასაფარავათ. გამუდმებულმა სამოქალაქო ომმა მოშალა და დასცა არა მარტო რუსეთის მრეწველობა, არამედ მისი სასოფლო მეურნეობაც. ასეთ პირობებში რუსეთიდან ჩვენ ვერც დღეს და ვერც ხვალ პურს ვერ შევიძენთ.

დარჩა სხვა ქვეყნები: ამერიკა, არგენტინა, კანადა და სხვ., რომლებიც დღეს ევროპას აწვდიან თვის ფქვილსა და ხორბლეულობას. ჩვენც ადვილათ შეგვეძლო ამავე წყაროსათვის მიგვემართა და მით თვისი სასურსათო მოთხოვნილება დაგვეკმაყოფილებინა. მარა აქ წინ გვეღობება იგივე დაბრკოლება, რაც საერთოთ შეუძლებელს ხდის ჩვენი ვაჭრობის მოწესრიგებას. ჩვენ არ მოგვეპოება ვალიუტა უცხოეთში პურის შესაძენათ. ამას კი ცოტა თანხა არ სჭირია.

რა გზას უნდა დავადგეთ ჩვენ ასეთ პირობებში?

მთელი ჩვენი გულისყური უნდა მივაქციოთ ისევ საკუთარ მეურნეობას, ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალს.

აქ უნდა გადაიჭრას ჩვენი სასურსათო პრობლემა. მემინდვრეობის კულტურას უნდა მიექცეს უდიდესი ყურადღება და ამოიწუროს ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რათა საკუთარი სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებით, უპირველეს ყოვლისა პურით, დავიკმაყოფილოთ ჩვენი მოთხოვნილება.

ამ მხრივ არც ისე უნუგეშოა ჩვენი მდგომარეობა, როგორც ერთი შეხედვით გეჩვენება ადამიანს.

სამი წელიწადია ჩვენ მოკლებული ვართ საშვალებას რეგულიარულათ მივიღოთ პური უცხოეთიდან. ამ ხნის განმავლობაში უცხოეთიდან შემოვიტანეთ პურის სულ უმნიშვნელო რაოდენობა. ასე რომ ჩვენ ძალაუნებურათ საკუთარი საგზლით გაგვქონდა თავი.

მართალია, მცხოვრებთა ერთი ნაწილი იკვებებოდა არა საკმარისათ, მარა შიმშილს მაინც გადავრჩით და ავათ თუ კარგათ დღევანდლამდი თავი მოვიტანეთ.

ეს იმას გვიმტკიცებს, რომ თვით ჩვენს ქვეყანაში ყოფილა შესაძლებლობა იმდენი პურის მოწევისა, რომ თავი დავირჩინოთ. თუ სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმართველობა მიზანშეწონილ სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკას აწარმოებს—ეს შესაძლებლობა კიდევ უფრო გაიზრდება და თუ დღეს ჩვენი სასურსათო მდგომარეობა საეჭვოა, ხვალ იგი უფრო საიმედო და მტკიცე გახდება.

მართალაც, საქართველოს სახნავ-სათესი მიწის ფონდი იმდენათ საგრძნობია, რომ მისი დამუშავება ჩვენ ადვილათ უზრუნველგვყოფს სურსათის მხრივ. ცნობილია, რომ ჩვენი მიწა-წყალი ორ და სამ ჩვენოდენა ხალხს დააჩენდა, რომ საქართველოში სწარმოებდეს რაციონალური მინდვრის კულტურა, რომ მიწა მუშავდებოდეს თანამედროვე აგრონომის მოთხოვნილების მიხედვით. ჩვენს დღევანდელ პირობებში, რასაკვირველია, მეტად ძნელია ამ მხრივ რადიკალური გადატეხა უცბათ მოხდეს

და ჩვენი სასოფლო მეურნეობა ერთბაშათ შეიცვალოს და გაუმჯობესდეს. მარა არის ისეთი ზომები, რომლებიც თავის თავად ძნელი გასახორციელებელი არ არის. ავიღოთ თუ გინდ სათესლე პურის გაუმჯობესების საკითხი. ჩვენ ვიცით, რომ გლეხის ხორბალში 30 პროცენტამდი სხვა და სხვა ბალახის თესლი ურევია, ასე რომ გლეხი თესავს ერთ მესამედს არა პურს, არამედ სხვა რამეს. დიდი საქმე არ არის სათესლე ხორბლის გაწმენდა ადგილობრივმა თვითმართველობამ ყველასათვის სავალდებულო გახადოს, ხოლო შედეგი მისი ძალიან დიდი იქნება: **ქვეყანა მიიღებს ღირსებით უკეთესს და უფრო მეტ პურს**. ამბობენ, ამისთვის ხორბლის საწმენდი მანქანები—ტრიერები არის საჭირო. ეს მართალია, მარა ნათქვამია, როგორც გიქირდეს, ისე გილხინდესო. ამ მანქანების მიღება უცხოეთიდან დღეს არც ისე ადვილია. მარა ჩვენში თითოეული ოჯახი თესავს ორ-სამს ხუთს დესეტინა და იშვიათად ამაზე მეტს. ამდენი სათესლის ხელით გაწმენდაც ადვილათ შეიძლება.

სოფლის მეურნეები უნდა დაიჩვიონ აგრეთვე ჯეჯილის გაწმენდას ბალახისაგან, რაც თავის თავად ძლიერ ადვილია.

სახნავ-სათესი მიწები საქართველოში უმეტეს ნაწილად ურწყავია. ამ ტომ ჩვენი მოსავალიც უფრო დარზეა დამოკიდებული. გვალვიან წლებში მოსავალი მეტის მეტად მცირეა.

ამიტომ უნდა გაძლიერდეს სამელიორაციო მუშაობა.

ბევრი ადგილი ჩვენში ადვილათ მოირწყვება.

სოფლის ამისათვის დღეს ფულიც მოიპოება. საჭიროა მხოლოდ ასეთი საქმეების ინიციატივა ერობებმა იკისრონ და მთავრობამ მათ დაეხმაროს თავისი სპეციალისტებითა და ტეხნიკური საშვალებებით.

უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენი ნორჩი ერობები სასოფლო მეურნეობის საკითხებს და აგრი-კულტურის გაუმჯობესობას ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევენ. ეს კი მათი მოღვაწეობის ერთი უმთავრესი საგანი უნდა იყოს. ამით ისინი ადგილობრივ თვითმართველობასაც გაამაგრებენ და სახელმწიფოსაც დიდ სარგებლობას გაუწევენ.

სასოფლო მეურნეობა ჩვენში ჯერ კიდევ სახალხო მეურნეობის უმთავრესი და უდიდესი დარგია. მისი გაუმჯობესობა ეკონომიურათ წელში გამართავს სახელმწიფოს, მისცემს რა მას მრავალ სავალუტო საქონელს (თამბაქო, მატყლი, აბრეშუმის პარკი, ხილი, ღვინო და სხ.) და საკუთარი საჭიროების დასაკმაყოფილებლათ საკმაო პურს. მარა ჩვენ ახლა არ გვინდა წამოვაყენოთ სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესების საერთო კითხვები. აქ ჩვენ გვაინტერესებს სასურსათო პრობლემა და ის ღონისძიებანი, რომელიც დღესვე საჭიროა მიღებულ იქნას ამ პრობლემის ცოტა თუ ბევრათ ჯეროვანათ გადასაჭრელათ.

**სოციალ დემოკრატი.**

## საქართ. საგ. საქმეთა მინისტრის ნოტა აზერბ. საგ. საქმეთა კომისარს

(საგარეო საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ბიუროსაგან.)

იანვრის 12-ს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი ნოტა გაუგზავნა აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა კომისარს:

**ბაქო. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ჰუსეინოვს**, პირი საქართველოს სრულუფლებიან წარმომადგენელს **ხუნდაძეს**.

პასუხად № 1094 თქვენის ნოტისა, რომლითაც თქვენ უარყოფთ ზაქათალის ოლქში საბჭოთა ჯარის კონცენტრაციის ფაქტს, მე საჭიროდ მიმაჩნია, თანახმად შემოწმებულ ცნობებისა, ერთხელ კიდევ დავადასტურო, რომ ზაქათალის ოლქის ფარგლებში აქტაფის ხელშეკრულობის მეექვსე მუხლის აშკარა დარღვევით უკანასკნელ დროს ჩრდილოეთ კავკასიიდან ბაქო-ღაზაქის გზით შეყვანილ იქნა ჯარის ახალი ნაწილები, გარდა იქ უკვე მყოფ მე-11 ლაშქრის მე-20 დივიზიის ნაწილებისა.

რაც შეეხება თქვენს განცხადებას, თითქოს სინამდვილეს არ ეთანხმებოდეს ცნობები ამ ოლქის მცხოვრებთადმი მათი კეთილდღეობის დამრღვევ მოთხოვნილებათა წამოყენების შესახებ, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ხელმეორეთ შემოწმებული ფაქტები ადასტურებს ჩემს მიერ № 11258 ნოტაში მოყვანილ ცნობებს.

თქვენს განცხადებას იმის შესახებ, რომ ჩემი მთავრობის მიერ ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა მიმართ გამოჩენილი მზრუნველობა წარმოადგენს ა. ს. ს. რ. შინაურ საქმეებში დაუშვებელ ჩარევას, ჩემი მთავრობა სთვლის ისეთ განცხადებად, რომელიც ეწინააღმდეგება აქტაფისა და მოსკოვის ხელშეკრულებათა აზრს.

აქტაფის ხელშეკრულების მე-6-ე მუხლი ითვალისწინებს ზაქათალის კითხვის გადასაჭრელად საარბიტრაჟო კომისიის დაარსებას თანახმად მოსკოვის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების პირველი მუხლისა. ამავე დროს თანახმად მოსკოვის 7 მაისის ხელშეკრულების მე 4 მუხლის პირდაპირი აზრისა კითხვა ზაქათალის ოლქის კუთვნილების შესახებ არავითარ ეჭვებს არ იწვევს და მხოლოდ ამ ოლქის ფარგლებში სადაო ადგილთა კითხვა უნდა გადაეცეს გადასაწყვეტათ შერეულ კომისიას თანახმად მოსკოვის ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების პირველი მუხლისა, რომელსაც ჰგულისხმობს აქტაფის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი, ხოლო ამ კითხვის გადაწყვეტამდე ზაქათალის ოლქის საზღვრებში დატოვებულ იქნა, როგორც აზერბეიჯანის, აგრეთვე საქართველოს ჯარის ნაწილები.

ამიტომ ზაქათალის ოლქის მცხოვრებთა მიმართ მზრუნველობის გამოჩენით საქართველოს მთავრობა ასრულებს თავის მოვალეობას, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს სხვ. ს საქმეში ჩარევად და არ უნდა იწვევდეს არავისი მხრით გაუგებრობას.

დასასრულ ჩემს მთავრობას საჭიროდ მიაჩნია ერთხელ კიდევ აღნიშნოს, რომ ა. ს. ს. რ. მთავრობის ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიება წარმოადგენს ა. ს. ს. რ. და საქართველოს შორის დადებულ აქტაფის ხელშეკრულების თვალსაჩინო დარღვევას, და ძირიანად ეწინააღმდეგება კეთილ მეზობლობისა და მეგობრობის პრინციპებს, რომელიც საფუძვლად დაედო ამ ხელშეკრულობას.

1921 წელი, იანვრის 12 № 266.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ **კ. სახაბტარაშვილი**.

## საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის ნოტა საქართველოს მთავრობისადმი.

ნოემბრის 27-ის თქვენი ნოტის საპასუხოდ მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: ნავთის საკითხის გადაჭრა სავსებით დამოკიდებულია საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, ვინაიდან რ. ს. ფ. ს. რ. საქართველოში მყოფი სრულუფლებიან წარმომადგენლის მიერ ნოემბრის 13-ს საქ. მთავრობის თავმჯდომარესთან პირადი დარბაზობის დროს მის მიერ მიღებულ ვალდებულებებისა და აგრეთვე დეკემბრის 16 ის თათბირის შეუსრულებლობა იყო ერთად ერთი მიზეზი ნავთის შეწყვეტისა და ვაგონების დაკავებისა. საქართველოში მყოფი რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის დეკემბრის 11 ნოტაში ნათლად იყო ნაჩვენები მოთხოვნილებათა პუნქტები, რომელთა თავის დროზე დაკმაყოფილების შემდეგ საქართველო უეჭველ მიიღებდა ნავთს, მაგრამ როდესაც ხსენებული პუნქტები მიუხედავათ მათი სიმარტივისა,—დღემდე დაუკმაყოფილებელი რჩება, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავისი მცხოვრებლების წინაშე თითონვე უნდა იკისროს პასუხისმგებლობა.

თანახმად დეკემბრის 16-ის მომხდარ შეთანხმებისა რუსეთის გემების რ. ს. ფ. ს. რ.-ზე გადაცემის შესახებ, რწმუნებულთა კომისიის არჩევით საკითხი პრაქტიკულად გადაჭრის საფუძველზე იდგა. მაგრამ საქართველოს მთავრობამ კომისიაში თავის რწმუნებულს არ მისცა უფლება შეთანხმების ფაქტიური რეალიზაციისა, რაც შეიქმნა მთავარი მიზეზი ხსენებული საკითხის გადაუჭრელად გადადებისა და დაბრკოლებისა. რუსეთის გემების ბედი საქართველოს ნავთსადგურებში გაურკვეველი რჩება.

გარდა ამისა საქართველოს ნავთსადგურებში საქართველოს მთავრობის მხრით რუსეთის გემების უყურადღებოდ დატოვება, მესამე პირისთვის ჰქმნის პრეტენზიებსა და გემების გაყვანის შესაძლებლობას.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენმა წარმომადგენლებმა უჩვენეს ნავთსადგურის უფროსებს ასეთი შესაძლებლობა და ერთ უდიდეს გემს „პრინციპს“, რომელსაც მოწმობაც ჰქონდა დონის რესპუბლიკის მართველობისაგან და გემზედ რუსეთის სავაჭრო დროშა იყო აღმართული, გემი იგი 20 დეკემბრის ღამით ფოთის ნავთსადგურიდან კონსტანტინოპოლში გაიქცა, ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ საქართველოს მთავრობა არ ასრულებს თავის იმ პირობას, რომელიც აღნიშნულია ჩვენს ნოტაში № 10, 54, 14 დეკემბრის თარიღით, რომელი პირობის ძალითაც საქართველოს მთავრობამ თავს იდო არ გაეშვა ხომალდი რუსეთის გემები საქართველოს ნავთსადგურიდან.

გაუწყებთ რა ყველა ამას, ბატონო მინისტრო, გთხოვთ დაუყონებლივ მაცნობოთ: იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული ფაქტის მაგვარი აღარა მოხდეს—რა ზომების მიღებას აპირებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და რა გარანტიას იძლევა იგი, რომ საქართველოს ნავთსადგურებში დაცული იქნება რუსეთის სახელმწიფოს ქონება.

სრულ უფლებიან წარმომადგენლის იმ პუნქტების შორის, რომლებიც წამოყენებულია მის ნოტაში 11 დეკემბრის თარიღით, მესამე და მეორე პუნქტები სრულიად დაუკმაყოფილებელნი დარჩნენ. 15 ნოემბრის თარიღით, რომ ნოტა გამოიცა, იმ ნოტაში აღნიშნულია რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიანი წარმომადგენლის თქვენთან მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების შემდეგ თქვენ, ბატონო მინისტრო, აღუთქვით წარმომადგენელს, რომ გადათვალიერებულ იქნება სიები საქართველოს კომუნისტურ პარტიის იმ წევრთა, რომლებიც დაპატიმრებულნი, ან გადასახლებულნი არიან, რომ შემდეგში განთავისუფლებინათ იგინი, მაგრამ იმ დღიდან ამ დღემდე არც ერთი არ გამოგიშვიათ ციხიდან და არც ერთი არ დაგიბრუნებიათ საქართველოში.

16 დეკემბერს შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენლის მონაწილეობით მოხდა ახალი შეთანხმება.

ამ შეთანხმების ძალით დადებული იყო სამი კვირის ვადა შეპყრობილ კომუნისტებისადმი ბრალდების წარსადგენად. მათი სია წინდაწინვე განხილული იყო საქართველოს მთავრობის წარმომადგენლისაგან რ. ს. ფ. ს. რ. ყოფილ მრჩეველ სტარკთან ერთად.

დაპირებული სამი კვირა უკვე გადის, მაგრამ საქართველოს მთავრობა თავის ვალდებულებას: ან წარუდგინოს ბრალდება შეპყრობილ კომუნისტებს, ან გაანთავისუფლოს ისინი საბრალდებულო მასალის უქონლობის გამო, ან გადაასახლოს საქართველოდან,—აქამდის არ ასრულებს. რაც შეეხება იმ ჯგუფობრივ დაპატიმრებას, რომელსაც საქართველოს მთავრობა აწარმოებდა გასულ დეკემბერში, ეს მთავრობა 16 დეკემბრის შეთანხმების ძალით ვალდებული იყო 24 საათის განმავლობაში შეედგინა სწორი სია დაპატიმრებულებისა, დაეყო ისინი კატეგორიებად და შესდგომოდა დაუყონებლივ ლიკვიდაციას ამ მასიურ ექციებისას. მაგრამ ამ ვალდებულებათა ასრულების ნაცვლად დღე ღამის განმავლობაში, 16 დეკემბრის შემდეგ, საგანგებო რაზმის აგენტები სრულებით ანადგურებენ თბილისისა და პროვინციის ქართულ კომუნისტურ პარტიის ყველა ორგანიზაციებს: დახურეს ამ პარტიის თბილისის კომიტეტი, მიკეტეს სარაიონო ორგანიზაციები, გაზეთები—და კვლავ მოუხდენიათ ახალ ახალი მასიური დატუსაღება, რომელიც გრძელდება ამ ხნობამდინაც.

აღნიშნული ფაქტები მხოლოდ ერთს გვიჩვენებენ, ბატონო მინისტრო, რომ საქართველოს მთავრობა არ ასრულებს თავის თავზე აღებულ ვალდებულებას და არღვევს 7 მაისის ხელშეკრულების განსაზღვრულ პუნქტს.

16 დეკემბრის ხელშეკრულებით მიღწეული შეთანხმება, რომლის ძალითაც უნდა გაგვნთავისუფლებინათ და შემდგომში დაგეცათ შეუვალობა საქართველოში მყოფ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის თანამშრომელთა, თქვენ მიერ სავსებით გაბათილებულია ამ თანამშრომელთა ახალ-ახალი დატუსაღებით და ნოტებიც ამის შესახებ თქვენ მიერვე უპასუხოდ დატოვებულია.

საქართველოში მყოფი რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენელი ერთობ უხერხულ მდგომარეობაშია და საშუალება არ აქვს შეასრულოს თვისი დიპლომატიური ფუნქციები, რადგან არ არის გარანტია მისი თანამშრომელთა ხელშეუხებლობისა.

ბათომში რუსეთის საკონსულო საშინელ პირობებში იმყოფება და თითქმის შეუძლებელი გახდა შემდეგში მისი არსებობა. საგანგებო რაზმის საქციელი სავსებით შლის ხსენებული საკონსულოს მოქმედებას, რომელნიც იქამდე მივიდნენ, რომ გარდა იმათი ვინც საკონსულოში შედიან, ან იქიდან გამოდიან, გარდა ამათი დატუსაღებულია თვით კონსულის მეუღლე.

არაფერი მაქვს საწინააღმდეგო იმ კანონიერ მოქმედებისა, როდესაც დატუსაღება ხდება დანაშაულის კონკრეტიულ პირობებში, მაგრამ მე გადაჭრით პროტესტს ვაცხადებ, როდესაც საგანგებო რაზმი ან მილიცია ასეთს დროს მარტო სიტყვიერ განცხადებით კმაყოფილდება.

ბათომის ცენტროკავშირის განყოფილების განადგურებასთან ერთად, განყოფილების პასუხისმგებელი პირების ცენტროკავშირის „ვასილი“-ს კომანდის და რუსეთის სავაჭრო ფლოტის მეზღვაურთა კავშირის განყოფილების გამგეობის დატუსაღებით, საქართველოს მთავრობამ დიდი ზიანი მიაყენა სავაჭრო საქმეებსა და რ. ს. ფ. ს. რ. და საქართველოს ურთიერთობის საქმეს.

საქართველოს მთავრობამ თავის მოვალეობად ჩასთვალა სასწრაფო ზომების მიღება მომხდარ დატუსაღებათა გამოძიება და უკანონოდ დაჭერილ თანამშრომელთა განთავისუფლება, მაგრამ ეს მოვალეობა ჯერაც არ აუსრულებია და რეალურად არ განუხორციელებია.

ყველა ზემოდ ნათქვამის შემდეგ, მე უფლება მაქვს განვაცხადოთ, ბ-ნო მინისტრო, რომ აზერბეიჯანიდან ნავთის მიღება სავსებით დამოკიდებულია საქართველოს მთავრობის მიერ სხვადასხვა დროს დადებულ პირობათა შესრულებაზე.

რაც შეეხება საქართველოს მთავრობის შეკითხვას: რად არიან დაკავებულნი სამარშრუტო მატარებლები და ბრიგადები, მე რწმუნება მაქვს ოფიციალურად განვაცხადოთ, რომ არც მატარებლები და არც ბრიგადები დატყვევებულნი არ არიან. ისინი მხოლოდ შეჩერებული არიან ნორმალურ მიმოსვლის აღდგენამდე, რაც დამოკიდებულია საქართველოს მთავრობაზე.

რაც შეეხება აზერბეიჯანის მიერ საქართველოს ვაგონების გამოყენებას, ამის შესახებ სასწრაფოდ ეცნობა აზერბეიჯანს, რაზედაც უთუოთ არ დააგვიანებს ან შუამავლისა და ან უშვალო განმარტებას საქართველოში მყოფ რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის პირით.

დასასრულ პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ რკინის გზის ტელეგრაფის აღდგენის შესახებ გაიცა განკარგულება.

მიიღეთ ჩემი თქვენდამი ღრმა პატივისცემა.

საქართველოში მყოფი რ. ს. ფ. ს. რ. სრულუფლებიან წარმომადგენლის თან. დრ. ლომ. ქავთარაძე.

1920 წ. დეკემბრის 30, № 4076.

## საქართველო უცხოეთის პრესაში

(ჟან მარტენის წერილი „ჟურნალ დე ჟენევ“-ში).

საქართველო განსხვავდება საუცხოვო მცენარეულობით და შესანიშნავი ჰავით, რომელიც ხმელთა შუა ზღვის ჰავას მოგვაგონებს. აქ ულამაზეს ტყეებთან ერთად იზრდება საუცხოვო მუხა. კაკლის ხე, ბამბუკი, მაგნოლია, ყველგან ვენახებია. აქაურ მდიდარ ნიადაგზე მოჰყავთ აგრეთვე ჩაი, შესაძლებელია ჩაის კულტურის უდიდესათ განვითარება, თუ ამისთვის საჭირო კაპიტალი იქნება დაბანდებული.

საქართველოს შეუძლია თავის ტერიტორიის უდიდესი ნაწილის ხორბლეულობით დათესვა. თუ ქართველ გლეხობას მიეცემა საშვალება ისარგებლოს გაუმჯობესებული იარაღებით, საქართველო შეძლებს თავის მოთხოვნილების თავისივე პურით დაკმაყოფილებას. ეს არის საქმე მომავლისა, ეხლა კი მას სჭირდება აღიარება იურიდიულათ, სწრაფი სახელმწიფოებრივი აღშენებლობა და დახმარება იმ ბრძოლაში, რომელსაც იგი აწარმოებს შინაურ და გარეშე მტრებთან. როგორ ასრულებს თავის მიზნებს საქართველოს სახელმწიფოებრივობა, ეს სჩანს ბათომის მაგალითიდან, სადაც ყველა ქვეყნის ლტოლვილია თავმოყრილი. აქ ისეთი სერიოზული მდგომარეობა იყო შექმნილი, რომ ევროპაში ხმებიც კი გავრცელდა ბათომის ნავთსადგურში შესვლის საშიშროების შესახებ, მაგრამ ეს საშიშროება უსაფუძვლო აღმოჩნდა იმ ენერგიის გამო, რომელიც მიიღო საქართველოს მთავრობამ.

დამახასიათებელია საქართველოსთვის ძველი და ახალი საქართველოს მტკიცე თანამშრომლობა. სწორეთ ამ გაერთიანებამ მისცა საშუალება რესპუბლიკას შეენახა თავის დამოუკიდებლობა ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო არევ დარევის დროს. რომ საქართველოს არ ქონოდა ეს გრძნობა პატრიოტიზმისა, ის დაიღუპებოდა 1918—1920 წლებში ოსმალეთისა, რუსეთისა და განსაკუთრებით ბოლშევიზმის თავდასხმის გამო. ქართველი ხალხი ერთი უძველესი ერია, რომელიც კვლავ აღსდგა თავისუფალ ცხოვრებისათვის და შეეჩვია ახალ პირობებს. საქართველომ გაიარა ორი მძიმე წელი და, რასაკვირველია, წარმოუდგენელია, რომ მომავალშიც არ შეინარჩუნოს დამოუკიდებლობა. ქართველ ხალხში იმდენათ ძლიერია სასიცოცხლო ენერგია, რომ იგი არასდროს არ მოისპობა.

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

იანვრის 13.

## რუსეთის დეპეშ. სააგენტო

(ბოლშევიკური).

**იანვარი და თებერვალი.**

**მოსკოვი.** 12 იან. დგება უმძიმესი დრო რკინის გზებისათვის—იანვარი და თებერვალი. დრო დიდი ყინვებისა და ქარ-ბუქისა. საჭიროება გაჰყინულ შეშის თბობისა დიდ გავლენას ახდენს ორთქმავალის ქვაბებზე რკინის გზელებმა უნდა მიიღონ ენერგიული ზომები და შეუწყონ ხელი ტრანსპორტის გამართვას ამ უმძიმეს დროში. გზის მუშებმა და დარაჯებმა უნდა გასწმინდონ გზები და თვალყური ადევნონ მას. ზამთრის თვეებში რაც შეიძლება კარგათ უნდა გამოვიყენოთ ყოველი ორთქმავალი და ვაგონი. არა ეკონომიურათ სარგებლობა სათბობ მასალისა—დანაშაულობაა.

**მეტი ყურადღება მუშათა ცხოვრების გაუმჯობესებას.**

„პრავდა“ სწერს: შეიძლება დანამდვილებით ვსთქვათ, რომ თუ მეტ ენერგიას გამოვიჩენთ, შესაძლებელია მუშათა ცხოვრების შემსუბუქება და დახმარების აღმოჩენა: საცვლების დარეცხვით, ფეხსაცმელების შეკეთებით, აბანოების მოწყობით, სასადილოთა გაუმჯობესებით და სხვა. საჭირო ნივთების შეძენით და მათთვის მიწოდებით აღმასრულებელ კომიტეტების პრეზიდიუმებმა და განყოფილებებმა უნდა მიიღოს ზომები მუშათა ცხოვრების გასაუმჯობესებლათ.

**თურქი კომუნისტების თათბირი.**

რ. ს. ფ. ს. რ. თურქ ხალხთა კომუნისტების თათბირზე, რომელიც შესდგა მოსკოვში, აზერბეიჯანისა, თურქესტანისა, ყირგიზეთისა, ბაშკირეთისა, ყირიმისა, დაღესტანისა, თერგის ოლქის მთიელებისა და ციმბირის კომუნისტურ ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით აირჩიეს ცენტრალური ბიურო. ბიუროს პრეზიდიუმში აირჩიეს საიდ ვალიევი, ნარიმანოვი და შამიგულოვი. ცენტრალური ბიურო იმუშავებს აღმოსავლეთში კომუნიზმის განსამტკიცებლათ.

## ფრანგული ცნობები

**არგენტინის სოციალისტთა კონგრესი**

**პარიზი** იან. 13 არგენტინის სოციალისტების კონგრესზე 5013 ხმით 3650 წინააღმდეგ უარყვეს მესამე ინტერნაციონალთან შეერთება.

**ანტიკომუნისტ სოციალისტ დეპუტატთა კრება**

სამშაბათს ბურბონის სასახლეში შესდგა ანტიკომუნისტ სოციალისტ დეპუტატთა კრება, სხდომას დაესწრნენ ძველ სოციალისტურ პარტიის წევრები (საფრანგეთის მუშათა ინტერნაციონალის სექცია) სხდომას თავმჯდომარეობდა ინოლსი. გამოირკვა, რომ 52 დეპუტატს უარი უყვია მოსკოვის მიერ წამოყენებული დოქტრინა; ამ დეპუტატთა რიცხვში შედიან: ბერტოვი, ბრეტონი, ბლიუმი, ბლეკი, კალტერი; მორალი, დელერი, გრუსი, გედი, იგნელსი, ფუჟე, პოლი, ბონკური, პრესმანი, სემბა, ტოლა, ვარენდი. 6 დეპუტატმა განაცხადა, რომ საკითხს შეერთების შესახებ ისინი გადასწყვეტენ თავიანთ ფედერაციებთან მოლაპარაკების შემდეგ (გამოტოვებულია).

## გერმანული ცნობები

**უნახშირობის გამო.**

**ნაუენი.** იან. 13. თანახმად ნახევრად ოფიციალურ ცნობებისა განზრახული აქვთ გერმანიის რკინის გზებზე დატოვებ სამგზავრო მატარებელთა მოძრაობის წინანდელი რაოდენობა და შეამცირონ სამგზავრო მატარებელთა რიცხვი. ეს მოვლენა არის შედეგი უნახშირობისა რომელიც გამოწვეულია სპას ხელშეკრულებით.

**საპრეწველო კრიზისი.**

ამსტერდამიდან იუწყებიან ჰოლანდიაში დაწყებულ სავაჭრო კრიზისის შესახებ; დაიხურა ფაბრიკები და მრავალი მუშა უმუშევრად დარჩა. ჰოლანდიის მუშათა წარმომადგენლები იხილავენ იმ ზომებს, რომლის მიღებასაც უმუშევრობის შემსუბუქების მიზნით ფიქრობს მთავრობა. პარლამენტის სხდომების განახლებისას სოციალ დემოკრატები აპირებენ მთავრობისადმი შეკითხვის შეტანას. გერმანული პრესა სწერს, რომ ჰოლანდიის კრიზისი არ არის მოულოდნელი, იგი მჭიდროთ დაკავშირებულია ამერიკასა და ინგლისში არსებულ კრიზისთან. შესაძლებელია, რომ ამგვარივე მდგომარეობა შეიქნეს შვეიცარიაში, რადგანაც უმუშევრობა თანდათან ძლიერდება, საქონელი არ საღდება, ნახშირი მეტად ძვირია და ნედლი მასალა არ არსებობს. უმუშევრობა გრძელდება ინგლისშიც, სადაც სოციალისტები გაურბიან მთავრობასთან მუშაობას. რაც შეეხება ეკონომიურ მდგომარეობას, მუშებს არა სურთ მუშაობის საათების შემცირება იმ მიზნით, რომ სამუშავო მისცენ უმუშევართ, თუ სახელმწიფო ან კერძო მწარმოებლები არ აუნაზღაურებენ იმათ ჯამაგირის დანაკლისს.

**ავსტრიის მდგომარეობა.**

ვენიდან იუწყებიან: ავსტრიის მთავრობის თხოვნით ამერიკაში მიემგზავრება ავსტრიელი პროფესორი რედლიხი იმ მიზნით, რომ ამერიკის პრეზიდენტ ჰარდინგსა და ამერიკის ფინანსისტებს გააცნოს ავსტრიის გამოუვალი მდგომარეობა.

**გერმანიის განიარაღება.**

გერმანიის განიარაღება გრძელდება. დეკემბრის განმავლობაში მოკავშირეთ გადაეცა 530 ტყვიისმფრქვეველი, ასი ათასი თოფი; მცხოვრებლებმა იანვრის 10-მდის ჩააბარეს 215.000 თოფი. დღემდის სულ გადაცემულია 932 ზარბაზანი 18,000 ტყვიისმფრქვეველი, 2 მილიონი თოფი და სხვ.

## საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

13 იანვარი.

**კავკასია და ევროპა.**

**პარიზი.** „სამხრეთ აღმოსავლეთის საფრანგეთის“ გაზეთში რენოდელი სწერს: მე არ ვიცი დარჩება თუ არა სამინისტრო ლეიგისა, მაგრამ კარგათ ვიცი, რომ საფრანგეთმა უნდა შესძახოს მას და მის მოადგილეს: „ევროპას დასამშვიდებლათ ნუ გაუშვებთ კავკასიის დამშვიდების შემთხვევას. ნუ დაივიწყებთ, რომ იქიდან შეუძლიან მოვიდეს მთელი ევროპის არევ-დარევა.

**ჩერჩილის განცხადება.**

ინგლისის სამხედრო მინისტრმა ჩერჩილმა ოქსფორდში მომხდარ მიტინგზე განაცხადა: რუსეთის დარევა და განადგურება იყო აუცილებელი შედეგი ბოლშევიკების მოქმედებისა.

**საქონლის ღირსება.**

**მოსკოვი.** „პრავდა“ სწერს: სხვადასხვა საქონლის ღირსება და მათ შორის ტანისამოსისა, მეტად ჩამოქვეითდა. საქონლის ცუდი კეთება გახდა საბჭოთა სახალხო ნივთის მარკათ. ძველებური ხბარე ნახელავისა სრულებით აღარ არსებობს. ჩვენ ვუცქერით უკეთურათ, ცუდათ და უგულოთ გაკეთებულ ნივთებს. ამის მიზეზია ის [illegible] ფაბრიკების ჩამორთმევამ. [illegible] პირთ წავარდით პირადი ინიციატივა და შევეცადეთ ეს ინიციატივა ჩაგვენერგა იმ პირთათვის, რომელნიც სათავეში ჩაუდგენ ამ წარმოებებს.

**ხაზეოთა რუსეთის ქარხნები.**

**მოსკოვი.** კომუნისტების კონფერენციაზე მოსკოვში ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა რიკოვმა, რომელმაც განაცხადა: მე მაქვს საჩივრები, რომ ქარხნები ანგარიშს არ აბარებენ არც ადგილობრივ აღმასრულებელ კომიტეტებს, არც საქალაქო კომიტეტს, არც მუშათა საერთო კრებებს. ქარხნების უმეტეს ნაწილში შემოღებულია ერთ პიროვნული მართვა-გამგეობა. ე. ი. დირექტორი დამოუკიდებლად განაგებს თავის წარმოებას. დღემდის საბოლოოთ არ მომხდარა წარმოებათა ნაციონალიზაცია. წვრილ და საშუალო წარმოებათა ნახევრის ნაციონალიზაცია ჯერ კიდევ არ მომხდარა. სოფლის მცხოვრებთა 70 80 პროც. აწარმოებს თავის მეურნეობას, როგორც კერძო საკუთრებას და არავითარ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მთავრობის განკარგულებებს.

**დამოკიდებულება რუსეთთან.**

**პარიზი.** „ეკო დე პარი“ სწერს; ინგლისის ზოგიერთი გავლენიანი წრე მეტად მოწადინებული არიან რუსეთთან დაამყარონ საქმიანი დამოკიდებულება. ლოიდ ჯორჯმა გადასწყვიტა მოახდინოს ეს შეთანხმება იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი მეტის მეტ შეუპოვებლობას არ გამოიჩენს. ფიქრობენ, რომ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ინგლისის მთავრობამ მოითხოვოს ლონდონში საზავო კონფერენციის მოწვევას.

**ამერიკა და რუსეთი.**

**ბერლინი.** ვოლფის სააგენტო იუწყება: ამერიკა არ ფიქრობს მიჰბაძოს ინგლისის და საფრანგეთის მაგალითს. მას არა სურს რაიმე სავაჭრო დამოკიდებულება იქონიოს საბჭოთა რუსეთთან. ამერიკის მთავრობა ფიქრობს, რომ ბოლშევიზმი დიდ საფრთხეს წარმოადგენს მთელი ქვეყნისათვის.

## ჩეხო სლოვაკიის ეკონომიური კომისიის ცნობა

კავკასიაში მყოფ ჩეხო-სლოვაკიის ცენტრალურ ეკონომიურ კომისიის განყოფილება დასავლეთ ევროპის ბაზრების შესახებ შემდეგ ცნობებს აქვეყნებს. თანამედროვე მდგომარეობა მსოფლიო ბაზრისა ხასიათდება გასაღების კრიზისის გაძლიერებით. შენიშნულია ისტორიაში არა ნახული ფასების დაწევა. 1920 წლის ზაფხულიდან ზოგიერთი საქონელი, მათ შორის ბამბა 2—3-ჯერ გაიაფდა, პური კი ნახევრათ. ნედლ მასალაზე ფასების დაწევამ გამოიწვია შემცირება წარმოებისა, რომელიც ზოგიერთ ქვეყნებში (შვეიცარია) კატასტროფიულ ხასიათს იღებს. ამასთანავე იზრდება უმუშევართა რიცხვი და ხელფასის შემცირება. მატყლის ფასი 10—20% შემცირდა. ტყავის ფასი უახლოვდება ომამდე არსებულ ფასებს. სპილენძისა და ცინკის ბაზარი მტკიცეა. ტყავზე ფასის დაცემა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს ინგლისში და ფინლიანდიაში. ქაღალდის დამუშავება ზოგიერთ ქვეყნებში კვირაში 5 დღეს წარმოებს, ზოგიერთა ქარხანა კი სრულიად დაიხურა. ჩეხოსლოვაკიასა და საფრანგეთს შორის დაიდვა სავაჭრო ხელშეკრულება, რომლის ძალით ჩეხოსლოვაკია ვალდებულია მიაწოდოს ყოველთვიურათ საფრანგეთს 25 ვაგონი საგაზეთო ქაღალდი. ამასთანავე ჩეხოსლოვაკიამ მიიღო ვალდებულება მიაწოდოს ქაღალდი ამერიკას. ფულის მდგომარეობა ჩეხოსლოვაკიის ბაზარზე დამაკმაყოფილებელია. (სდს).

# ახალი ამბები

**დღეს, საღამოს 6 საათზე დანიშნულია საქ. ს. დ. მ. პ. ცენტრალურ კომიტეტის სხდომა.**

**საქართველო და საფრანგეთი.** იანვრის 12-ს საქართველოში დანიშნულმა საფრანგეთის სრულუფლებიან მინისტრმა ბ. შევალიემ და შავ ზღვაში მყოფ საფრანგეთის ფლოტის სარდალმა ამირბარმა დიუმენილმა ინახულეს მთავრობის თავმჯდომარე და საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის აღმასრულებელი. დიუმენილმა მადლობა გადაუხადა მთავრობას იმ პატივცემისათვის, რომელიც მას გაუწიეს ბათომიდან თფილისამდე მგზავრობის დროს. ამასთანავე საფრანგეთის წარმომადგენელმა საფრანგეთის მთავრობის სახელით საქართველოს მთავრობას გადასცა რესპუბლიკის დამოუკიდებლობისადმი პატივისცემა და თანაგრძნობა.

**რკინისგზელთა კავშირი.** იანვრის 1[illegible] შესდგა რკინისგზელთა ცენტრალურ გამგეობის ახალი შემადგენლობის წევრთა პირველი სხდომა. გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა პ. მაჭარაძე. ამავე სხდომაზე გამოყოფილ იქნა შემდეგი კომისიები: კულტურულ განმანათლებელი, შრომის, საორგანიზაციო, საგამომცემლო, სანიტარო, სადისციპლინო სასამართლოს, სატარიფო პოლიტიკისა და საპარიტეტო.

**ხაზინის მამულების გამგეობათა ყრილობა** [illegible] მიწათ-მოქმედებ[illegible]

მინისტრმა დ. ონიაშვილმა. ყრილობა იხილავს მნიშვნელოვან საორგანიზაციო-სამეურნეო საკითხებს. დაესწრო ოცი გამგე. აქედან 9 არის ღვინის საკეთებელ მამულებიდან, დანარჩენი კი შერეულ მეურნეობის მამულებიდან. ყრილობა 4 დღეს გასტანს.

— **შევარდენის საზოგადოებაში.** იანვრის 5 თფილისში შესდგა საქართველოს შევარდენთა კავშირის დამფუძნებელი კრება, დაარსდა ყველა ქართულ შევარდნულ ტანთსავარჯიშო საზოგადოების კავშირი. კავშირის საქმეები გადაწყდება კავშირის მორიგ წლიურ კრებებზე და აგრეთვე საჭიროების დაგვარად საგანგებო კრებაზე. კავშირის მუდმივ დაწესებულებას მისი გამგეობა წარმოადგენს, რომელშიაც 18 წევრი შედის. დამფუძნებელ კრებაზე გამგეობაში ერთხმად არჩეულ იქნენ შემდეგი პირნი: თავმჯდომარეთ გიორგი ნიკოლაძე, კავშირის ვარჯიშთავი გ. ეგნატაშვილი და თავმჯდომარის ორი ამხანაგი ირ. ლორთქიფანიძე და მიხ. პატარიძე გამგეობის წევრებად ბ. ჩხიკვიშვილი, ექ. იოს. ალანიშვილი, ინჟინერი ივ. ბერიძე, ივანე კუკავაძე, გ. მერკვილაძე, რ. ნიკოლაძე პოლიტექნიკისა. ნ. შარაშიძე, ივ. მაჭავარიანი, ვლ. პროკოფაშვილი და დიმ. ჩიკვაიძე. სარევიზიო კომისია: სპირ. ბაქრაძე, მიხ. ზანდუკელი და იას. მაჭავარიანი. კავშირთან იარსებებს წვრთნელთა კრებული თავისი საბჭოთი, რომლიდანაც კავშირის გამგეობაში შევლენ: ვარჯიშთავის ორი შემწე (თ. ნიკოლაძე და არჩ. ბაქრაძე) და ტან-ვარჯიშობის ორი ზემხედი (ინსპექტორი კაპ. გ. ბერულაშვილი აღმოსავლეთ საქართველოში) და კაპიტ. დავ. ჯავრიშვილი (დასავლ. საქართველოში). კრებამ ერთხმად აირჩია გამგეობის საპატიო წევრებად დამსახურებული ჩეხელი შევარდენი—ანტონ ლუკეში და პირველი „შევარდენის" თავმჯდომარე პოლკ. კონსტ. კაკაბაძე. კავშირს განზრახული აქვს ჟურნალის გამოცემა. კავშირის დროებითი მისამართი. თფილისი სასახლე განათლების სამინისტრო.

— **ქართულ კლუბში** 15 იანვარს, გაიმართება დიდი ტრადიციული საღამო თფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტისა. მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო და კერძო თეატრების საუკეთესო მსახიობები.

— **მეოთხე რაიონთლი კოლექტივი** დღეს, საღ. 8 ს. სოლოლაკის (მცირე) კოლექტივის ახალ ბინაზე (განოვის, 9, მესამე სართული) იწვევს მესამე და მეოთხე უბნის პარტიის წევრთა კრებას.

— **ქართული კინემატოგრაფიული საზოგადოება.** თფილისში დაარსდა ქართული კინემატოგრაფიული კერძო სააქციონერო საზოგადოება.

**კ რ ე ბ ე ბ ი.**

დღეს, 14 იანვარს, საღამოს 6 ს. დანიშნულია მეოთხე რაიონის ს. დ. ქალთა კოლექტივის სხდომა.

— დღეს, 14 იანვარს, საღამოს 4 ს. ნავთლუღის მუშათა კლუბში შესდგება საქ. სოც. დემ. მ. პ. მე-7 რაიონის წევრთა საერთო კრება.

— კვირას, 16 იანვარს, დღის 4 ს. მუშათა სასახლეში (რუსთაველის პროსპ.) ოთახი № 16 შესდგება სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა დაბალ მოსამსახურეების საერთო კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს. შესდგება ს. ს. დ. მ. პ. ჩუღურეთის მცირე კოლექტივის საზოგადო კრება.

## მთავრობაში

(6 იანვრის სხდომა).

სამხედრო მინისტრის მოხსენების შემდეგ მთავრობამ დაადგინა: 1) გაიდიდოს კრედიტი, რომელიც უნდა მიეცეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბს იანვრის და თებერვლის განმავლობაში, 2) წინადადება მიეცეს ქუთაისის სამაზრო ერობას, რომ მან სამხედრო უწყებას გადასცეს მასალები ვიწრო ლიანდაგიან რკინის გზისათვის.

— გზათა მიმოსვლის მინისტრის მოხსენების შემდეგ რკინის გზის მილიციის დამატებით შტატის შესანახად სათანადო კრედიტის გახსნის შესახებ, მთავრობამ დაადგინა: გზათა დეპარტამენტს აღნიშნულ მიზნისათვის მისცეს სამ უახლოეს თვეში სათანადო თანხა. დეკრეტი ამის შესახებ უნდა წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

— ტყიბულის მაღაროებში საჭირო ფარნების შესაძენათ სათანადო თანხის ინგლისურ ვალიუტის გადადების შესახებ მთავრობამ დაადგინა: წინადადება მისცეს მომარაგების სამინისტროს, რომ მან სათანადო თანხა გადასცეს გზათა დეპარტამენტს ზემოაღნიშნულ ფარნების საყიდლათ. ეს თანხა გზათა დეპარტამენტს უნდა გადაეცეს ორ ვადაში— იანვრის უკანასკნელ რიცხვებსა და თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში.

— გზატკეცილებზე მოსამსახურეთათვის შეშის შეძენის შესახებ გზათა დეპარტამენტის თანხებიდან, მთავრობამ დაადგინა: ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილოს და გზათა დეპარტამენტის კრედიტებიდან გადადებულ იქნას სათანადო თანხა იმ პირობით, რომ ეს ფული დეპარტამენტს დაუბრუნდეს ორი თვის შემდეგ.

— რკინის გზის დისციპლინარულ განყოფილებისათვის გაღებულ თანხის გადადების შესახებ დაადგინეს მიმდინარე საბიუჯეტო წელში გადასდონ ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი თანხა.

— შრომის მინისტრის მოხსენების შემდეგ, რომელიც სახელმწიფო დაწესებულებათა მუშებისა და მოსამსახურეების მომარაგების საქმის გაუმჯობესებას შეეხებოდა, მთავრობამ დაადგინა: 1) მისცენ ყველა სახელმწიფო მოსამსახურესა და მუშას ავანსის სახით მანუფაქტურა და სხვა პირველ საჭიროების ნივთები, 3000 მან. ღირებულებისა თვითეულ სულზე და ოჯახზე კი არა უმეტეს 10,000 მან. ღირებულებისა. ეს ავანსი მუშებმა და მოსამსახურეებმა უნდა გადაიხადონ 1921 წელში შრომის სამინისტროს მიერ დანიშნულ ვადებში. 2) მიენდოს შრომის მინისტრს დაამუშაოს დეკრეტი ამ მიზნისათვის 360 მილიონი მანეთის გადადების შესახებ. ეს დეკრეტი უნდა შეტანილ იქნას დამფუძნებელ კრებაში. ეს თანხა მოთხოვნილ უნდა იქნეს მომარაგების ფონდისათვის ხაზინო კრედიტთან ერთად.

3) რადგანაც შრომის სამინისტროს არ ქონდა საშუალება მუშებისა და მოსამსახურეების დასაკმაყოფილებლად შეეძინა სათანადო რაოდენობის მანუფაქტურა, ამიტომ მიეცეს უფლება შრომის მინისტრს, რომ მან იმ მუშებს, რომელთაც მანუფაქტურა არ მიუღიათ, მომარაგების ფონდიდან ფულით მისცეს სათანადო რაოდენობის თანხა. (სდს).

## „წითელ" სომხეთში

**ჩ. ჩერინის განცხადება**

(ადერბეიჯანის მისიის ცნობა)

ერევანი, 5 იან. საბჭოთა რუსეთის ნარკომინდელმა ჩიჩერინმა ანგორის მთავრობის მიერ სომხეთის შესახებ აღძრულ საკითხებზე პასუხის დროს სხვათა შორის სთქვა.

„საბჭოთა რუსეთის მთავრობა ღრმათ არის დარწმუნებული, რომ საბჭოთა სომხეთი შესძლებს სომხეთა და ოსმალეთს ხალხთა შორის ძმური ურთიერთობის დამყარებას და სწამს, რომ იმავე მიზნით ოსმალეთის მთავრობა მიიღებს ზომებს ოსმალეთის ჯარების მიერ ალექსანდროპოლის რაიონის დაუყონებლივ ევაკუაციისათვის, რაც არავითარ ზიანს არ მოუტანს ოსმალეთს მუდმივ საზღვრების დაწესების შესახებ მოლაპარაკების დროს".

— —

(„აზხატავორის ცნობა")

ყარსის მახლობელი სოფლები გაძარცულია. მოხდა დიდი ძლეტა. ყარსიდან არზრუმში გაგზავნეს ყველა მამაკაცები (60 %) რომელთაც შრომა შეუძლიათ.

ყარსში დაიწყო დიდი შიმშილი. ყარსიდან გუმბრში სამი მატარებელი გაგზავნეს დედაკაცებით სავსე.

ოსმალებს ახალი ჯარები მოჰყავთ ერზერუმით ყარსში და გუმბრში გამოსაგზავნათ.

სამუშაოთ გაგზავნილ სომეხ ტყვეებს ჰხდიან ტანსაცმელს. გენერლები და ოფიცრებიც კი გაჰყავთ სამუშაოდ.

ასწორებენ გზატკეცილებს და აგრეთვე რკინის გზას ყარს—აზრუმის შორის.

მუშა პირუტყვის უყოლობის გამო ტვირთის გადასაზიდათ სომხები გაჰყავთ.

გუმბრის გარშემო სოფლები, რიცხვით 62, სრულიად დანგრეულია.

ყარაქილის და დილიჟანის საწყობები დაცარიელებულია. გაიტანეს შუშები თეთრი ფქვილი, ქერი, ტანსაცმელი და სხვა. ყველა ეს მიაქვთ სად. ალსტაფისკენ, დაიწყო თივის, პურის და საქონლის რეკვიზიცია.

## „წითელ" ადერბეიჯანში

(გაზეთებიდან).

**პრისტავის მუნდირი და ბოლშევიკური ფრენჩი.** სოვნარხოზის ორგანო „სოფლის მეურნეობა"-ში ეგოროვი ასე ახასიათებს „წითელი" ადერბეიჯანის სოფელს. „ჩვენს განკარგულებაში მყოფი მასალები აშკარად გვიჩვენებიან, რომ რევოლიუციას სოფელში სრულიად არავითარი ცვლილება არ მოუხდენია. გლეხებს არაფერი გაეგებათ მომხდარი ამბებისა. ის მხოლოდ ხედავს, რომ ძველი „პრისტავის" მაგიერ გამოჩნდა ახალი—„კომისარი", რომ ძველი პოლიციელების ნაცვლად ახლა გაჩნდნენ მილიციონერები. მაგრამ შინაარსი კი ისევ ის დარჩა. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ წინეთ მას სცემდნენ მათრახით „პრისტავის" მუნდირში გამოწყობილნი, ახლა მას აწიოკებს იგივე პირები, მაგრამ უკვე კომისრის სახელწოდებით, ბოლშევიკურ ფრენჩში; წინეთ მისი ნამუშევრის ნაყოფი მიჰქონდა რომელიმე ხანს ან ბეგს, ახლა მიაქვს ჩვენს „ნარკომპროდს" ან „ნარკომზემს", რომელიც გადაიქცა „საბჭოს ხანათ", სხვა ყველაფერი ისევ ძველებურათ დარჩა...

**ცარცვა გლეჯის კვირა სოფლად.** მოგვყავს ერთი ადგილი იმ პირის კერძო წერილიდან, რომელმაც ინახულა გერმანელთა ახალშენი ელენენდორფი (განჯის გუბერნია) „ცარცვა-გლეჯის" კვირის დროს. „თქვენი მეგობარი აცრემლებული გთხოვთ როგორმე უშველოთ მას და გაიყვანოთ ადერბეიჯანიდან საქართველოში. იქ ცხოვრება პირდაპირ საშინელებაა. იმ დღეებში, როდესაც გამოცხადდა ბურჟუაზიის ცარცვა, ახალშენიდან მიჰქონდათ ტანსაცმელი, მთელი დგამი, თეთრეული, მთელი სურსათ სანოვაგე, ფანჯრის შუშებიც კი. მიჰყავდათ შინაური ცხოველებიც. ყველაფერი ეს მიჰქონდათ ნემეცების ფურგონებზე, სადგ. განჯამდე. საშინელი სურათია. ახალშენის ორი ათას მცხოვრებთ სცარცვავდნენ წითელარმიელები. თითქმის ყველაფერი დაიღუპა ამ ბარბაროსების ხელში. ორი სხვა ახალ-შენების მეორგსფელდის და ანენფელდის მცხოვრებნი ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან. ხალხი უსანოვაგოთ, უტანსაცმელოთ, უფანჯრო სახლებში იყინება. ზემოხსენებულის გარდა ართმევდენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებსაც და ყველაფერს, რასაც კი ჰქონდა ღირებულება; ჯარისკაცებმა შესვეს დიდძალი ღვინო და გალეშილნი რამოდენიმე დღე საზიზღრათ იქცეოდნენ; ადგილი ჰქონდა აღმაშფოთებელ ძალადობებს. კოლონიებში მყოფ ჯარებს მიემატა ის ჯარებიც, რომლებიც წავიდნენ ფრონტიდან „ბურჟუების ექსპროპრიაციის" მიზნით. ეს სურათი მე კიდევ დაუმთავრებლათ დავტოვე. ცარცვა-გლეჯა და საზიზღროება გრძელდება. (ბ.)

# საქართველოს სოც.-დემ. მუშ. პარტიის ყველა ორგანიზაციებს.

## ამხანაგებო!

პარტიის ცენტრალურ კომიტეტის დადგენილებით ოთხშაბათს 19 იანვარს, შუადღის 12 საათზე ქ. თფილისში მოწვეულია პარტიული კონფერენცია. წარმომადგენელნი იქნებიან ყველა სამაზრო და შემდეგი ქალაქების კომიტეტები: თფილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის და ბათომის. ის ორგანიზაციები, რომელთა პარტიის წევრთა რიცხვი არის არა ნაკლებ სამი ათასისა, გზავნიან ორ დელეგატს და შემდეგ სრულ 1500 წევრზე დამატებით თითო დელეგატს. სამაზრო ორგანიზაციები, რომელთაც არა ჰყავთ 1500 წევრი, თითო დელეგატს მაინც გზავნიან.

დელეგატებს სამაზრო და ზემოთ მოხსენებული კომიტეტები ირჩევენ.

დღის წესრიგი: პარტიული და საკონსტიტუციო საკითხები.

## რკინის გზაზე

**თფილისის სადგურზე**

6 იანვარს, დილის ორ საათზე სადგურზე გავაცილე ნაცნობი, რომელიც სამი დღე ცდილობდა გამგზავრებას და ვერ წასულიყო. სადგურზე მგზავრები ბევრი მოსულიყვნენ, რომ რიგში ჩამდგარიყვნენ და დილის 11 საათზე ბათუმისკენ მიმავალ მატარებელზე ბილეთი ეშოვათ. აქვე იყვნენ მილიციონერები, რომლებიც ვითომც წესიერების დასაცავად ხალხს ცხვრებივით იქეთ-აქეთ მიერეკებოდენ.

წესიერების დამცველთა შორის ერთი მთვრალი იყო და ის ყველაზე სისასტიკეს იჩენდა თავის ყოვლად უმსგავსო მოქმედებით.

დილის ოთხი საათი იქნებოდა, რომ ამ მთვრალმა მოხელემ კასასთან მდგომ ათიოდე კაცს მიმართა უდიერი სიტყვით: „ოჩერედში" ნუ დგებითო. შორს მდგომ ხალხმა გაიგონა სიტყვა „ოჩერედი" და გამოექანა კასისაკენ. მილიციონერები შეეცადენ წესიერების დაცვას, მთვრალს ფხიზელი ამხანაგებიც მოეხმარენ და თოფის კონდახების ცემით დააბრუნეს უკან ხალხი.

დაახლოვებით დილის 5 საათზე ერთერთ მოხელის თაოსნობით დაეწყო ხალხი რიგში. მაგრამ მალე ჩამოიარა მეორე „წესიერების დამცველმა" და რიგში მდგარ ხალხს კონდახის ცემით ყინვაში გარედ ერეკებოდა. გატანჯული მგზავრები კიდევ ჩადგნენ რიგში, მაგრამ მაინც არ ასვენებდენ.

რიგში მდგომნი ხშირათ ამბობენ, რომ რამდენიმე დღეა, რაც აქ ათევენ, მაგრამ აქაურ მილიციონერის უკანონო მოქმედებით კასასთან მისვლასაც ვერ ველირსეთო... ამას ყველაფერს სადგურის მოხელეები აწყობენ, რომ ხალხისაგან ბილეთის აღებისთვის ორას-სამასი თუმნობით აიღონო და სხვ.

ასეთი ამბავი მოვისმინე რიგში დგომის დროს. ამასობაში ჩვენი რიგიდან ბილეთი უკვე მიუციათ ოცდა ცამეტ კაცისათვის და კასაც დაუხურავთ. მატარებელი სავსე გავიდა ბათომისკენ. მე და ჩემი ნაცნობიც დავრჩით. ასე დავდივართ ყოველ დღე.

**მგზავრი.**

## კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

**26 დეკემბრის სხდომა.**

**თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე.**

**მოხსენება კონსტიტუციის 1-ლი თავის ზოგად დებულებების შესახებ.**

**პ. საყვარელიძე.** მთელი ჩვენი კონსტიტუცია შეიცავს 17 თავს და 166 მუხლს. კონსტიტუციის ასეთი დაყოფა არ არის აუცილებელი, მაგრამ მას შეაქვს კონსტიტუციაში მეტი სიცხადე. პირველ თავში გამოთქმულია საერთო პრინციპები, ზოგადი დებულებანი. პირველი თავის პირველი მუხლი საზღვრავს ჩვენს ბუნებას—საქართველო დამოუკიდებელი და თავისუფალია. ამას გარდა, ის განუყოფელიცაა. ეს ჰნიშნავს, რომ საქართველო მოწყობილია არა ავტონომიურ და ან ფედერატიულ საფუძველზე, არამედ—რომ ის არის უნიტარული სახელმწიფო. ჩვენ პოლიტიკურ წესწყობილების უცვლელ და მუდმივ ფორმათ ვილებთ დემოკრატიულ რესპუბლიკას. ამ ფორმის უცვლელობისა და მუდმივობის შესახებ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ გამარჯვებული დემოკრატია ახორციელებს ამ გამარჯვებას თავის კონსტიტუციაში. ეს ჰნიშნავს, რომ ლეგალური, კანონიერი, კონსტიტუციური გზით შეუძლებელია არსებული დემოკრატიული წესწყობილების შეცვლა. ეს საერთო დებულებაა ყველა დემოკრატიულ ქვეყნების კონსტიტუციებში, ჩვენთვის მისაღებია დემოკრატიული წესწყობილება, რადგანაც ის იტევს თავის ფარგლებში სოციალისტურ ტრანსფორმაციის შესაძლებლობას. დემოკრატიულ რესპუბლიკის ფორმებში ჩვენ შეგვიძლია ვაწარმოოთ განსაზღვრული პოლიტიკა, მიმართული ჩვენი საბოლოო მიზნებისაკენ. დემოკრატიზმი—უმრავლესობის ბატონობა აუცილებელი საფეხურია სოციალიზმისაკენ აღმართულ გრძელ კიბეზე. საბჭოთა სისტემა, როგორც ჩვენ დავამტკიცეთ, არ ემყარება უმრავლესობას; ის არ ემყარება არც უმცირესობას; მისი ფუძე—შეიარაღებული ძალაა. ჩვენი კონსტიტუცია [illegible] ძლიერია, რადგანაც ის ახორციელებს უმრავლესობის დიქტატურას.

პირველი თავის მეორე მუხლი აღნიშნავს—ჩვენს ნეიტრალობას. ჩვენი ნეიტრალიტეტი ცალმხრივია, ნეიტრალიტეტის გამოცხადება კარგია, თუ მას სხვებიცა სცნობენ. სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი დამტკიცებული უნდა იყვეს საერთაშორისო ნორმებით. ჩვენ მიერ ცალმხრივათ გამოცხადებულ ნეიტრალიტეტს იმდენათ აქვს მნიშვნელობა, რამდენათაც ის არის ჩვენი ხალხის ნებისყოფისა და მისი მშვიდობიან მისწრაფებათა გამოხატულება. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი ნეიტრალიტეტი იქნება ცნობილი ევროპის მიერ. ხოლო მანამდის, სანამ სხვა სახელმწიფონიც არ სცნობენ ჩვენს ნეიტრალიტეტს—მანამდის ჩვენ იძულებულნი ვიქნებით ვიყვეთ მზათ იარაღით ხელში, რადგანაც ვიცით, თუ რას ნიშნავს მხოლოდ ცნობა, თუ არ არის რეალური გარანტია, შეიარაღებული ძალა. ბელგიასა და ლიუქსემბურგს ჰქონდათ საუკუნოებრივი ტრადიციები ნეიტრალობისა, მაგრამ პირველ საჭიროებისთანავე იმპერიალისტურმა გერმანიამ ბელგიის ნეიტრალიტეტს ქაღალდის ნაგლეჯი უწოდა.

საქართველოს დედა-ქალაქი—თფილისია. თფილისში მოქმედებს და მუშაობს, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლება—მთავრობა, ისე საქართველოს კანონმდებელი ორგანო—პარლამენტი. თფილისს აქვს თავისი პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა. ამიტომ ის არის შეტანილი პროექტში, განსაკუთრებულ მუხლში. თფილისი—დედა-ქალაქია ჩვენი კულტურის, რევოლიუციის და კონსტიტუციის. თფილისში მართავს სხდომებს პარლამენტი. პარლამენტის სხდომის ადგილს აქვს მნიშვნელობა. თქვენ გახსოვთ ისტორიიდან, რომ საფრანგეთის პარლამენტი მართავდა სხდომებს ვერსალში, შემდეგ ის გადაიტანეს პარიზში. საქართველოს სახელმწიფო ენა—ქართული ენაა. ენა—უდიდესი იარაღია სახელმწიფოს სიმტკიცის შესანარჩუნებლათ. ჩვენ, როგორც პატრიოტები, როგორც სოციალისტები, საქართველოს ოფიციალურ ენათ ვთვლით ქართულ ენას. ვაი იმ სახელმწიფოს, სადაც ოფიციალურათ ითვლება რამოდენიმე ენა. ეს სახელმწიფო არ შეიძლება მტკიცეთ ჩავთვალოთ, ჩვენი სახელმწიფო-ნაციონალური სახელმწიფოა. აქ ლაპარაკიც კი არ შეიძლება რამოდენიმე სახელმწიფოებრივ ენის შესახებ.

სახელმწიფო ღერბის საკითხში ჩვენ ვისარგებლეთ საქართველოს მდიდარი წარსულით. ჩვენ მოვალენი ვართ ვისარგებლოთ კარგი ტრადიციით. თეთრი გიორგი და დროშა არ უარყოფენ ეხლანდელ უფლებრივ მნიშვნელობას. ღერბი და დროშა გამართლებულია არა მარტო ისტორიულათ, არამედ—არსებული პირობებითაც. თეთრი გიორგი—სიმბოლოა ჩვენთვის აუცილებელ თვისებების—სამხედრო სიმტკიცის და სიმამაცის. ჩვენი ნაციონალური დროშა—სინტეზია დიდი რევოლიუციისა და ჩვენი ნაციონალური იდეის.

ტერიტორიის საკითხს არსებულ სახელმწიფოებისათვის აქვს სასიცოცხლო მნიშვნელობა. არ შეიძლება წარმოვიდგინოთ თანამედროვე სახელმწიფო განსაზღვრულ ტერიტორიის გარეშე. ამიტომ კონსტიტუციას არ შეიძლებოდა არ ეხსენებინა ჩვენი ტერიტორიის ხელშეუხებლობა. არავის არ შეუძლია გაჰყიდოს და ან გაჰყოს, დაანაწილოს საქართველოს ტერიტორია. ამ საკითხს აქვს მეორე მხარეც ჩვენ გვაქვს სადავო მიწები, სადავო ტერიტორია—სადავო ტერიტორიის შესახებ საკითხების გადაჭრა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით ორგანოს საშუალებით—ადმინისტრატიული დაყოფა აგრეთვე კანონმდებელის წესით სწარმოებს.

ჩვენ წამოვაყენეთ აგრეთვე ავტონომიის პრინციპი. ავტონომიურ საფუძველზე მოეწყობიან აფხაზეთი, სამუსლიმანო საქართველო და ზაქათალა, მაგრამ ავტონომია არ მოასწავებს სახელმწიფოს სახელმწიფოში, ის არ უნდა აზიანებდეს სახელმწიფოს მთლიანობას.

კანონს არა აქვს უკუმოქმედების ძალა. ამ მუხლის შეტანას აქვს დიდი მნიშვნელობა. თუ დღევანდელი კანონი აუქმებს გუშინ მიღებულ კანონის ძალას, — ამით, რასაკვირველია, სახელმწიფო ჰკარგავს თავის პრესტიჟს, რადგანაც ამ პირობებში ლაპარაკიც კი არ შეიძლება სახელმწიფოში უცვლელი წესრიგის დამყარების შესახებ. მაგრამ დაშვებულია ერთი გამონაკლისი. კანონს აქვს უკუმოქმედების ძალა, თუ ის ამსუბუქებს ბრალდებულის მდგომარეობას— კანონები, რომლებიც მიღებულია კონსტიტუციის დამტკიცებამდე—ძალაში რჩებიან იმ შემთხვევაში, თუ არ ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას.

კონსტიტუციას იღებს დამფუძნებელი კრება. ამაშია მისი მისია. მაგრამ სდგება საკითხი: ვინ აქვეყნებს მას? კონსტიტუციური კომისია ასე მსჯელობს: დამფუძნებელი კრება მოწვეული იყო უპირველესად ყოვლისა კონსტიტუციის მისაღებად. ამაში მდგომარეობდა მისი პირდაპირი დანიშნულება. ხალხმა, დამფუძნებელი კრების არჩევის დროს, დაავალა მას კონსტიტუციის მიღება. დამფუძნებელ კრებას აქვს საამისო მონდობილობა. ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ არ არის საჭირო რეფერენდუმი. დამფუძნებელ კრებას, კონსტიტუციის მიღების შემდეგ, შეუძლია გამოაქვეყნოს ის, თავის წევრების მიერ ხელმოწერილი, თუმცა მაგ. გერმანიაში კონსტიტუცია გამოაქვეყნა ებერტმა, ხოლო ჩეხო-სლოვაკიაში—მასარიკმა.

ასეთია კონსტიტუციის ზოგადი დებულებები (ტაში).

მოხსენების შემდეგ გაიხსნა კამათი.

**ივ. გობეჩია** (ს. რ.) უპასუხებს მომხსენებელს და აღნიშნავს: ბევრი ის, რაც უნდა შეტანილი ყოფილიყო [illegible] კონსტიტუციაში, რომელსაც სოციალისტური დემოკრატია ჰქმნის, არ არის შეტანილი, ხოლო შეტანილია ის, რასაც არ უნდა ჰქონდეს ადგილი კონსტიტუციაში: ასეთი არის მუხლები პოლიტიკურ წეს-წყობილების მუდმივ და უცვლელი ფორმისა და საქართველოს ნეიტრალიტეტის შესახებ. ყველაფერი ეს არსებულ პირობებში ცარიელი სიტყვებია. ბოლოს ორატორს მიზანშეწონილად და უფრო დემოკრატიულათ მიაჩნია კონსტიტუციის რეფერენდუმის საშუალებით მიღება. ორატორი ჰკითხულობს ესერების მიერ წარმოდგენილ კონსტიტუციის პროექტის პირველ თავს და სთხოვს დამფუძნებელ კრებას მის მიღებას.

## ჩაქვის რაიონის მცხოვრებთა თხოვნა

დეპ. აკ. ჩხენკელმა მიიღო შემდეგი დეპეშა: 1894 წელს ჩამოდგა ფეხი ჩაქვის ხეობაში საუფლისწულო მამულის უწყებამ, ჩაიბარა ის მამულები, რომელსაც თავის თავად ხაზინა სთვლიდა სახელმწიფო მამულებათ, ხოლო იმ უფლების გარკვევით, რაც ხალხს ჰქონდა ამ მამულებში, ე. ი. ბალახით სარგებლობის, ნადირობის, ტყეში სკის დადგმის, თავის საჭიროებისათვის უფასოდ ხე-ტყის მასალის გამოტანისა და წვრილმანი ტყის გაკაფვის სიმინდის დასათესათ. და ხალხის ეს უფლება შეტანილ იქნა მაშინვე ოქმში. ასეთი უფლება ჩვენს ხალხს უხსოვრის დროიდან ეკუთვნოდა და არაა შემთხვევაში ოსმალეთის მთავრობასაც კი არ დაურღვევია იგი. ასე გადაცემულ მამულების გარდა, რომელნიც მდებარეობენ სოფლის გარეშე, ამ უწყებამ შეიძინა ფულით რამოდენიმე მკვიდრ მცხოვრებთაგან მათი საკუთარი მამული, ეზო-გარემო, სახნავი, სათესი და ტყეც იმ უფლებით, რა უფლებისა და ადგილობრივ ჩვეულების თანახმად ჰქონდა მათ მეზობლებთან დამოკიდებულება პირველ ხანებში. და ამ უწყების ადგილობრივ მართველებს არ შეულახავთ ხალხის ზემოთ აღწერილი უფლება. მაგრამ თანდათან, როცა ხანი გავიდა ჩვენი უსწავლელობის გამო გვიწყეს შევიწროება და დაგვადევს ბატონყმური უღელი ტყის ხმარებას, ბალახით სარგებლობის, სკის დადგმის, გაკაფვის საქმეში, გვიდგინდენ ოქმებს და სასამართლო უწყალოდ გვაჯარიმებდა და ამნაირად განვიცდიდით აუტანელ შევიწროვებას.

როცა გადატრიალება მოხდა და ძველი მთავრობა დაეცა,—ჩვენ დავიცავით ხელუხლებლად ეს მამულები და არ მიგვიბაძავს სხვა ქვეყნის ხალხისათვის ტყების და სხვა მამულების გაოხრებაში და ჩვენმა ხალხმა თვითონ დაიცვა ეს ქონება სხვის თავდასხმისაგან. ჩვენ დარწმუნებული ვიყავით იმაში, რომ ეს ბატონ-ყმური უღელი მოგვეხსნებოდა დღეს მაინც, როდესაც რესპუბლიკის მთავრობის ძალა-უფლება საბოლოოთ, ჩვენდა სასიხარულოდ, აქ დამყარდებოდა და როდესაც ამ მამულს განაგებს აქ თქვენგან დანიშნული მოურავი. ჩვენი ხალხი დარწმუნებულია, რომ დღეიდან მოისპობა ჩვენი ხალხის ზემოთ აღნიშნული შევიწროვება; მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით კიდევ განაგრძნობენ ამ ბატონ-ყმურ დამოკიდებულებას და შევიწროვებულნი ვართ უწინდებურათ. საბალახო, რომელიც ჩვენი ხალხისთვის აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, გაცემული არის იჯარით უცხო მეცხვარეებზე—ხემშილიზე *) ანუ რამდენიმე ადგილობრივ მცხოვრებ [illegible] ძალით ამ ხეობიდან [illegible] ტყეში და ტყით [illegible] სარგებლობის და, როგორც მოგახსენეთ, ჩვენი ხალხი იმავე გაჭირვებულ დღეშია ამ მხრივ, როგორც იყო [illegible] ამ გარემოებით წინათ. ხუთი სოფლის სახლით, ვითომცა მათი რწმუნებული, მოვიდნენ თქვენთან, როგორც უზენაეს მთავრობის პირთან და ვიახლეთ, რათა თქვენ მიხედოთ შეცვალოთ ეს დამოკიდებულება და ჩვენს ხალხს მიენიჭოს უფლება, რაც მას დღემდის ჰქონდა. მოგვეცეს საბალახო და ნუ გადახდებათ იჯარა, ტყეში სარგებლობის უფლება, რაც მოხსენებულია ზემოთ. თუ ეს უფლება საქართველოს მთავრობამ წაართვა ხალხს,—მაშინ ჩვენი ხალხის იმედები გაცრუვდება, ჩვენი მდგომარეობა ძველებურათ დარჩება, რომელიც ჩვენს ხალხს ძლიერ სჩაგრავს. მოვითხოვთ აქმის ადგილობრივ გამოკვლევას ჩვენს თან დასწრებით, რომელიც აღმოაჩენს სიმართლეს და იმასაც რომ არ არის კარგი მთავრობისათვის ჩვენი ხალხის ამ მდგომარეობაში დატოვება, ვინაიდგან ამ მხრით დიდი ნივთიერი სარგებლობა მას არა აქვს და მასთან არავითარი ვნება და განდგურება მამულს არ მიელის. მას ექნება ჩვენი მადლობა. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოხსენება არ დარჩება უყურადღებოთ და ხალხი მიიღებს ნუგეშს. გთხოვთ კეთილ ინებოთ და გვაცნობოთ თქვენი ბძანების შინაარსი ამ მოხსენებაზე.

ჩაქვის თავის რწმუნებული: ელიას ფალავანდ ოღლი, ომალ ალავან ოღლი; ხაალის რწმუნებული - ლორთქიფანიძე, ოსმან შაბალ ოღლი; დიდ ჯამის რწმუნებული ისმაილ შაშლი ოღლი, გუსეინ გასან ოღლი; ხალვაშია სოფლის რწმუნებული-ხალვაში ევულ [illegible] ვიძე; გიორგაძის სოფლის რწმუნებულნი ახმედ ბოლქვაძე, ახმედ ომარ ოღლი.

## სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მე-4 ყრილობა

4 დღე.

სასკოლო რეფორმის შესახებ მოხსენებას აკეთებს განათლების მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე. მას ძლიერ სასიამოვნოთ მიაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებლობა, მიუხედავად იმ აუტანელ ეკონომიურ გაჭირვებისა, რომელსიც ამ ჟამად ისინი განიცდიან, მაინც ახსოვს და ფიქრობს სკოლების ბედიღბალზე. მინისტრის ამხანაგი იწყებს თავის მოხსენებას სახალხო სკოლებიდან, რომლისათვისაც განათლების უწყებას მიუქცევია ჯერ-ჯერობით მეტი ყურადღება. როგორც ამას გვიჩვენებს 1915 წლის სტატისტიკა, დასავლეთ საქართველოში იმ დროის ყოფილა 427 დაწყებითი სკოლა, ამ ჟამად არის 923, აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა 344, არის 620 სკოლა, სოხუმის ოლქში ყოფილა 64, არის 202 სკოლა. საერთო რიცხვი ყოფილა 835. არის 1745. მოწაფეთა რიცხვი ყოფილ ქუთ. გუბერნიაში ყოფილა 72000, არის 140.000 თბილისის გუბერნიაში ყოფილა 27,000. არის 37,000. მთელ რესპუბლიკაში ყოფილა 75,000 მოწაფე, არის 150,000. [illegible] სკოლებში საყოველთაო სწავლა განხორციელებულია რიგიანად გურიაში, სენაკის, ქუთაისის და ზუგდიდის მაზრებში, სოხუმის ოლქში ნაკლებად. აღმოსავლეთ საქართველოში სკოლების რიცხვის ზრდა თვალსაჩინოდ ხდება გორისა, თელავისა და სიღნაღის მაზრებში. საერთოდ ეს ზრდა სკოლებისა და მოწაფეთა რიცხვისა მომეტებულად სწარმოებს საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ. ქალაქებში თითქმის ყოველგან სასკოლო ქსელი შევსებულია, მხოლოდ განვიცდით მასწავლებელთა ნაკლებობას.

ამის მიზეზია სკოლების რიცხვის გადიდება ერთის მხრით და უცხო მასწავლებლების ჩამოშორება მეორეს მხრით. ამის გამო იძულებული ვიყავით მოკლე ვადიან კურსებზე მომზადებულ მასწავლებლებით შეგვევსო დანაკლისი. მოკლე ვადიან კურსებთან ერთად ჩვენ დავაარსეთ სპეციალური საპედაგოგიო სემინარიებიც. თელავში, ბოდბეში და სენაკში. არსებულ მასწავლებელთათვის ვფიქრობთ საპედაგოგო კურსების მოწყობას, რომელთათვის უნდა მოვამზადოთ ღირსეული ინსტრუქტორები. უწყებამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე სკოლის გარეგან მოწყობას.

რომ ეს საქმე რიგიანად მოგვარდეს, საჭირო არის 10 წლის მუშაობა და ამ საქმის მოგვარებაში ჩვენ უნდა დავიხმაროთ ადგილობრივი თვითმართველობები. ამას გარდა უწყებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია გამომცემლობის საქმესაც. ამ მხრივ დიდ გაჭირვებას განვიცდით განსაკუთრებით ქაღალდის სიძვირის გამო და ეს გვჭირს არა მარტო ჩვენ, არამედ გერმანიას, საფრანგეთს და სხვებსაც. მიუხედავად ამისა ყოველი ზომებია მიღებული, რომ ახლო მომავალში უწყებამ გამოსცეს საკუთარი ორგანო და სხვა გამოცემები.

ამას გარდა მინისტრის ამხანაგი შეეხო სკოლის წინასწარ აღზრდის საქმეს. მან მაგალითი მოიყვანა შეერთებულ შტა-

*) მამადიანი სომხები.

ტებში დაწყებითი სკოლების და სკოლის წინასწარ აღზრდის საქმის განცალკევებას და დაასკვნა, რომ ჩვენში ეს ორი მოვლენა ერთმანეთს უნდა დავუკავშიროთ ორგანიულად. სასკოლო კომისიაში ეს პროექტი მიღებულია და ნაწილობრივ პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგმულია. მას ხელმძღვანელობს თფილისში იტალიელი გამოცდილი ქალი და შედეგებიც დამაკმაყოფილებელი არის. სკოლაში იღებენ ბავშვებს 6 წლიდან და ის თანდათან ეჩვევა სკოლას და მის ცხოვრებას. უმაღლეს დაწყებითი სკოლების მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, რაც დაწყებით დაბალ სკოლებისა. რაც შეეხება საშუალო სასწავლებლების ორგანიზაციას, ჩვენ ამ ჟამად უკვე გვაქვს ერთიანი სკოლა, რაიც ჯერ კიდევ სადავო არის ზოგ ევროპის სახელმწიფოებში. ფიზიკურ აღზრდას ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული. მოწყობილია ტანვარჯიშობის ინსტრუქტორების კურსები. ამასთანავე განათლების უწყებამ საჭიროდ დაინახა საპროფესიო-სატეხნიკო სკოლების გაფართოება. ამ მიზნით თფილისის ტეხნიკური სასწავლებელი გადაკეთდა საშუალო პოლიტეხნიკუმად. ფოთის, ხონის და ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლებიც თანდათან გაფართოვდებიან. დახმარებას უწევთ ეროვნულ უმცირესობის სასწავლებლებსა. დავეხმარეთ სომხების, მუსულმანების, რუსების და სხვა ეროვნებათა სკოლებს. მის შემდეგ მინისტრის ამხანაგმა დაასახელა დებულებანი, რომელთა განხორციელება მიზნად დაუსახავს უწყებას; 1) რესპუბლიკის მოქალაქე ვალდებულია გაათავოს 8 წლიანი დაწყებითი სასწავლებელი 2) დაწყებითი სკოლა ორ საფეხურიანია. პირველი ოთხი საბავშო ბაღების და მეორე ოთხი ზოგადი განათლების სახით. 3) სასწავლო გეგმების დამუშავება. 4) სახ. სკოლის გათავების შემდეგ საშუალო სასწავლებელში გადასვლა. 5) საშუალო სკოლის დიფერენციაცია, ზოგადი და პროფესიონალური. 6) ზოგადი საშუალო სასწავლებლის კურსი ოთხ წლიანია. 7) სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებლად არსდება 5 წლიანი სამასწავლებლო ინსტიტუტები. 8) საშუალო სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებლად არსდება საპედაგ. ინსტიტუტი უნივერსიტეტთან. 9) სკოლების მართვა-გამგეობის საკითხის მოგვარება. ყველა ზემოხსენებულ დებულებების შესახებ იყო შეკითხვები, რომელთა ახსნა-განმარტებამ საკმაოდ დააკმაყოფილა კრება და ტაშით დააჯილდოვეს მინისტრის ამხანაგი. ამის შემდეგ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან.

ნოდი.

## პარტიული ფონდი

ვთხოვთ გადასცეთ ჩვენ მიერ გამოღებული წვლილი 3.660 მ.*) საქართველოს სოციალ დემოკრატიულ მუშათა პარტიის ფონდის გასაძლიერებლათ, რომელიც შეგროვდა ყველა ამხანაგების სურვილით მე-12-ტე სათადარიგო ქვეითა ათასეულის მე 5 თე გუნდის ჯარისკაცებში.

ამხანაგების მონდობილობით სევერიან ფირანის ძე ენუქიძე, შაქრო სოლოღაშვილი, დათიკო აბრამიძე, იოველ ლაცაბიძე, სიმონ მგალობლიშვილი.

ყველა ამხანაგების სახელსა და გვარს ვერ ვაცხადებთ, რადგან ბევრ ალაგს დაიჭერს.

## პროფესიონალურ კავშირებში

**აღმასრულებელ კომიტეტში.**

საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტმა, ცენტრთან შეკავშირებულ კავშირების განყოფილებათა ადგილობრივ საბჭოებში შესვლის შესახებ, მოისმინა რეზოლიუცია იმ კომისიისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ამ საკითხის დამუშავება. რეზოლიუციაში ნათქვამია: 1) აუცილებლათ იქნას ცნობილი ამ განყოფილებათა ადგილობრივი საბჭოებში შესვლა; 2) ადგილობრივ საბჭოებში გადასახადი უნდა გამოერიცხოთ მათ რაიონების საწევრო გადასახადებიდან 5 პროცენტულ გამოკლების რაოდენობით; 3) საწევრო გადასახადი აღმასრულებელ კომიტეტში გამორიცხულ უნდა იქნას ცენტრში შეკავშირებულ კასების შემოსავლის საერთო თანხიდან; 4) ყოველგვარ პროფესიონალურ საკითხებში ადგილობრივი განყოფილებები ემორჩილებიან თავიანთ პროფესიონალურ ცენტრებს; 5) ხოლო ისეთ საკითხებში, რომელნიც ეხებიან ქალაქის პროლეტარიატს, განყოფ. უნდა დაემორჩილონ ადგილობრივ პროფ. კავშირთა საბჭოს; 6) უთანხმოების დროს საკითხს სწყვეტს აღმასრულებელი კომიტეტი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ აღმასრულებელმა კომიტეტმა შემდეგი დადგენილება გამოიტანა: აღმასრულებელი კომიტეტი პრინციპიალურად ეთანხმება რა წარმოდგენილ რეზოლიუციას, საჭიროდ სცნობს ნაჩვენებ დებულებების ცხოვრებაში გასატარებლათ წარმოებულ იქნას მოსამზადებელი მუშაობა. ამ მიზნით ახლო მომავალში მოწვეულ იქნას თათბირი იმ კავშირების წარმომადგენლებისა, რომელნიც შეკავშირებული არიან მთელი სახელმწიფოს მასშტაბით.

საბოლოოთ გადასაწყვეტად ხსენებული საკითხი წარედგინება საქართველოს პროფ. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს.

---

აღმასრულებელ კომიტეტმა დაადგინა მხარი დაუჭიროს მცხოვრებთა დამხმარე ცენტრალურ სოციალურ საზოგადოების შუამდგომლობას მთავრობის წინაშე, სადაც საზოგადოება ითხოვს, რათა ისინი ჩარიცხულ იქნან სასურსათო ფონდში, საიდანაც საზოგადოება მიიღებს იაფ-ფასიან პურს იმათთვის, ვინც ხსენებულ საზოგადოების მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. ამ ხანებში საზოგადოება მფარველობას უწევს 150 ბავშვს და 50 ინვალიდს. გარდა ამისა, საზოგადოება ყოველ დღიურათ 75 უფასო სადილს იძლევა. საზოგადოების ყველა დაწესებულებებს ქალაქის გამგეობა თვეში აძლევს ერთ მილიონ მანეთს, საიდანაც 500,000 მანეთი იხარჯება მხოლოდ პურისათვის.

## ს.-დ. პარტიაში

**თფილისი.** 15 დეკემბერს შესდგა ერთობის უბნის ქვე კოლექტივის სხდომა.

იმ წევრების შესახებ, რომლებიც კრებას არ ესწრებიან, ქვე კოლექტივმა დაადგინა: მიეცეთ წინადადება ერთხელ და უკანასკნელათ, რომ დაესწრონ ყველა კრებას; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი გარიცხული იქნებიან კოლექტივის წევრობიდან.

შემდეგ კრებამ აირჩია კომისია სამი პირისაგან, რომელსაც ევალება ერთობის უბანში არსებულ ორგანიზაციების საერთო კრების მოწვევა, სადაც უნდა შეთანხმებით გამომუშავებულ იქნას კულტურულ მუშაობის გეგმა.

წერა-კითხვის საზოგადოების არჩევნების შესახებ კრებამ დაადგინა: მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები, რათა წევრები ჩაეწერონ საზოგადოებაში წევრებათ.

22 დეკემბრის სხდომაზე ქვეკოლექტივმა დაადგინა—მოწვეულ იქნას კრება ყოველ პარასკეობით საღამოს 6 საათ., სადაც მოსმენილ იქნება მოხსენებები მომენტის შესახებ. დადგენილ იქნა აგრეთვე მოხსენების შემდეგ გაიმართოს უფასო წარმოდგენა. ამისთვის ამორჩეულ იქნა სახელმძღვანელო კომისია, რომელშიაც შედიან: პ. გაჩეჩილაძე, მეტრეველი ბესო, ბაქრაძე და დოლონაძისა ნადეჟდა. შემდეგ არჩეულ იქნა 2 კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალა მიიღოს მონაწილეობა სავალდებულო შრომის ბიგარის სამობილიზაციო კომისიის მუშაობაში.

დ. ფერაძე.

---

**ნავთლუღი.** 9 იანვარს შესდგა მე-7 რაიონულ კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. კოლექტივის სარევიზიო კომისიამ გააკეთა მოხსენება კოლექტივის ერთი წლის ნივთიერი მდგომარეობის შესახებ, საიდანაც გამოირკვა, რომ საქმე კოლექტივში კარგათ ყოფილა წარმოებული. კრებამ დაავალა მდივანს შეადგინოს აგრეთვე კოლექტივის მუშაობის ერთი წლის ანგარიში წლიურ კრებაზე მოხსენების გასაკეთებლად.

გადაწყდა კოლექტივის არჩევნები მოხდეს 14 იანვარს.

რკ. გზის რაიონულ გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ს. ღლონტი აკეთებს მოხსენებას იმ გაწვავებულ მდგომარეობის შესახებ, რომელიც არსებობს რკ. გზის მოსამსახურეებში. იგი აღნიშნავს, რომ მხოლოდ მთავრობამ სახელოსნოში მიიღო $1\frac{1}{2}$ გ. პური და რაიონის მუშები კიმეტად ცუდ მდგომარეობაში არიან. დადგენილ იქნა გაიგზავნონ ამხ—ბი ს. ღლონტი, ე. ლორია და სარჯველაძე ცენტრალურ კომიტეტში მოხსენების გასაკეთებლად.

პ. დებელი.

---

**სამტრედია.** 9 დეკემბერს შესდგა სამტრედიის რაიონის რკ.-გზის ს. დ. კოლექტივის კრება.

პარტიულ მუშაობის შესახებ კოლექტივმა დაადგინა; „ვინაიდან პრაქტიკულ მუშაობასთან ერთად საჭიროა იდეური პარტიული მუშაობა,—კოლექტივი აუცილებელ საჭიროებათ სთვლის შეიქნას კადრი იდეურ პარტიულ მუშაობის ხელმძღვანელებისა, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ პარტიულ საკითხების შესახებ ლექციებსა და რეფერატების კითხვას და მსზგავს იდეიურ მუშაობას. ასეთ წრეში კოლექტივმა აირჩია ხუთი ამხანაგი: ა. ჭურაძე, ვ. ვაშაკიძე, ა. ასკურავა, პ. კოპალეიშვილი და ი. თოდუა.

შემდეგ მოხსენებას აკეთებს ი. მიქაია 8 დეკ. მომხდარ ყრილობის შესახებ, რომელმაც გამოიწვია გაზ. „რკ გზელი“-ს 44 ნომერში მოთავსებული კორესპონდენცია, სათაურით „სამტრედია“.

კოლექტივი ადგენს: „დაევალოს საბჭოს წევრს ი. მიქაიას 8 დეკემბრის ყრილობის დადგენილების ცხოვრებაში გატარება ფრაქციის საშუალებით. საბჭომ უნდა აირჩიოს პრეზიდიუმი სამი პირისაგან, რომელსაც დაევალება ახალი საბჭოს არჩევნების მოხდენა და სანამ ეს მოხდებოდეს რაიონულ გამგეობის საქმეების ხელმძღვანელობა.

დასასრულ კრებამ მოისმინა, სხვათა შორის იმის შესახებ, რომ მან მიიღო მოწერილობა სასწავლებლის დალის შესახებ გვარდიის საჭიროებისთვის.

მდივანი.

## მუშათა შორის

**ავლაბრის მუშათა კლუბი.** 10 იანვარს შესდგა ავლაბრის მუშათა კლუბის გამგეობის სხდომა, მშობელთა წრის თხოვნა მუშათა კლუბის თეატრის დარბაზის დათმობის შესახებ გამგეობამ დააკმაყოფილა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ბილეთების გაყიდვა უნდა ხდებოდეს თეატრის კასაში. ოლ. გოჩიტაშვილის თხოვნა გამგეობამ დააკმაყოფილა, მხოლოდ გოჩიტაშვილს ევალება წარმოდგენის შემოსავალი გადადებულ იქნას მუშათა კლუბის სამი მოსამსახურეთათვის, გოჩიტაშვილისთვის ნერსესტერ-ხაჩატუროვისათვის და იაკ. ხუციშვილისთვის. დღის არჩევა მინდო გამგეობის თავმჯდომარეს იოს. ხუციშვილს.

გამგეობამ კლუბის მოსამსახურეთა ჯამაგირების მომატებაზე იქონია მსჯელობა და დაადგინა: ვინაიდან დღეს მუშათა კლუბის შემოსავალი გასავალს ძლივს ფარავს, მუშათა კლუბის ზოგიერთი გასართობების შეფერხების გამო, ამიტომ მოლარე ქალს ჩუთლაშვილს დროებით მოემატოს ჯამაგირი 500 მანეთი თვეში.

გამგეობამ გადაწყვიტა მუშათა კლუბის თეატრის წინა რიგებში ფასების აწევა. ამავე დროს სასურველად ნახა თვეში ორჯელ ქართულ და სომხურ ენებზე გამართოს უფასო წარმოდგენა მუშებისათვის და მუშათა კლუბის წევრებისათვის. მეხანიკის შესახებ გამგეობამ დაადგინა: ვინაიდან ამხ. გ. გალუსტოვს დრო აღარა აქვს, რომ მუდმივად იმუშაოს მუშათა კლუბის საჭიროებისათვის, ამიტომ ასეთი მუშაობა ევალება ვ. ჩიტოვიანცს. გამგეობის თავმჯდომარეს ევალება მოელაპარაკოს ჩიტოვიანცს თუ რა პირობებში იმუშავებს ეს უკანასკნელი. სომეხ მსახიობთა წერილობითი წინადადებას სიამოვნებით ხვდება გამგეობა და გამგეობის თავმჯდომარეს იოს. ხუციშვილს. გამგეობა ავალებს მოელაპარაკოს კავშირის წარმომადგენელს და მომავალ სხდომაზე წარმოადგინოს სომეხ მსახიობთა წარმომადგენელი, რათა გამგეობამ ნათლად წარმოიდგინოს გეგმა იმ მუშაობისა, რომელიც სურთ ავლაბრის მუშათა თეატრში სომეხ მსახიობთა კავშირს.

ქ-ნ რომანიშვილი-დგებუაძის საიუბილეო დღესასწაულში გამგეობა ღებულობს მონაწილეობას და გზავნის თავის წარმომადგენელს.

ვერხვი.

---

**ტყიბული.** „სახალხო საქმის“ ოთხშაბათის ნომერში მოთავსებულია ვიღაც „ფენიქსი“-ს წერილი ტყიბულის მუშათა კავშირის გამგეობის არჩევნების შესახებ. წერილიდან სჩანს, რომ ავტორს არა თუ ამ არჩევნებზე, არამედ —თავის სიცოცხლეში არ გაუვლია ტყიბულის მაღაროებში. „ფენიქსი“ სწერს, თითქოს ამ კრებაზე დამფ. კრების წევრს ამხ. პ. ბერიშვილს გაეკეთებინოს მოხსენება სოც.-დემოკ. პარტიის მუშაობაზე და მოეწოდებინოს მუშებისთვის ხმა მიეცათ სოციალ დემოკრატ. კანდიდატებისთვის, რაც აშკარა სიყალბეა. ამხ. ბერიშვილსამ კრებაზე ხმაც არ ამოუღია. უნდოდა არჩევნების შემდეგ გაეკეთებია მოხსენება მომენტზე, მაგრამ რადგან კრება ძლიერ გაგრძელდა და მუშები დაიღალა, შემდეგისთვის გადაიდვა. სცრუობს „ფენიქსი“, როცა სწერს, თითქოს ფედერალისტების მხრივ სიტყვა ეთქვას ი. არსენიშვილს და მის სიტყვას გამოეწვიოს აღფრთოვანება მუშებში. ბ. არსენიშვილმა მხოლოდ და მხოლოდ უსაყვედურა კავშირის გამგეობას, რომ მან ვერ მიაქცია სათანადო ყურადღება მუშების განათლებას, რაზედაც შესაფერი პასუხი მიიღო გამგეობისაგან. ის არ გამოსულა იქ როგორც ფედერალისტი და არც სხვას კამათში მონაწილეთ არ გაუცვნიათ მუშებისთვის თავი როგორც ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენელი. თუ რას გააკეთებს „წუნარი“ „მშვიდი“ „შეგნებული მუშაკი“ „ენამოწყველი“ და „ინტელიგენტი“ ახალი მუშათა თავმჯდომარე—კავშირის გამგეობის შემადგენლობით ამას მომავალი დაგვანახებს, ხოლო რაც შეეხება „დამოუკიდებელი და პირადი შეგნებით მომხდარ არჩევნებს“ ამას ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ პრესაში, სადაც დავანახვებთ საზოგადოებას „ფენიქსის“ ანაფრ ამხანაგების საგმირო საქმეებს ამ არჩევნებში.

„ზეფა“.

## პროვინცია

**ხად. მარელისი.** (ლელვან-მარელისის თემი), მე-6 თვეა, რაც დაარსდა ლელვან-მარელისის თემი. ამ თემში შედის ხუთი სოფელი: ლელვანი, მარელისი, ზედუბანი, სერბაისი და ვახანი; ამ მცხოვრებთა რიცხვი 800-დეა. ეს თემი, მცირე გამოკლებით, ყოფილ ლელვანის საზოგადოების ფარგლებშია მოქცეული. პირველათ, თემის რაიონების გამოყოფის დროს, იგი მიწერილი იქნა მეზობელ თემებზე—ხარაგაულისა და მოლითისაზე, რაც სრულიათ შეუფერებელი და უხერხული იყო და რამაც ხალხში სამართლიანად გამოიწვია აღშფოთება. მცხოვრებთა დაჟინებითი მოთხოვნას საკუთარი თემის დაარსების შესახებ შედეგათ მოჰყვა სათანადო ნებართვა და არჩეულ იქნა საბჭო 22 ხმოსნისაგან, რომელთა რიცხვიდან 12 ს. შედგენენ ს.-დემოკრატები, 6 ერ.-დემ. და 4 ს.-ფ.

თავიდანვე თემის საბჭომ მეტათ მხნედ და ენერგიულათ შეუდგა სხვადასხვა საკითხების გადაჭრას; სხვათა შორის, დიდი დავა გამოიწვია თემის სამმართველოსათვის შესაფერის და მოხდენილ ადგილის გამოძებნის საკითხმა. ვინაიდან თვით სადგურის მახლობლათ სრულიად არ მოიძებნება საკმაო სივრცის ადგილი, ერთი მიმართულება მოითხოვდა სამმართველოს ცენტრალურ ადგილს—ს. მარელისში გადატანას და ყველა კულტურულ დაწესებულებათა ერთად თავის მოყრას. მაგრამ რომ სერიოზულ გამწვავებამდე არ მისულიყო საქმე, ეს ჯგუფი იძულებული შეიქნა დაეთმო მათთვის, რომელნიც მოწინე იყვნენ სამმართველოს ძველ ალაგას დატოვებისა. სახელწოდებათ თემს დაერქვა „ლელვან-მარელისის“ თემი.

საბჭომ შესაფერისი დადგენილებები მიიღო გზების და ხიდების შეკეთების, სკოლების რემონტის, ახალ სკოლებისა და სამკითხველოების გახსნის შესახებ და მასთანვე დაასახელა საბჭოს ზომები და საშუალებანი მიღებულ დადგენილებათა სისრულეში მოსაყვანათ. თემის ფინანსიურათ უზრუნველ საყოფს საბჭო იმედოვნებს, რომ ახლო მომავალში სამაზრო ერობის ან რომელიმე სხვა ორგანოს მიერ მოწყობილი იქნება ფართო ექსპლოატაცია ტყისა, რომლითაც მეტათ მდიდარია თემის რაიონი, სადაც რამდენიმე სახერხი ქარხანაც კი არსებობდა წარსულში; ეს დიდ შემოსავალს მისცემს თემს.

ამ ჟამათ თემის მდგომარეობა ასეთია: თუმცა გამგეობას ვერ მოუხერხებია ყველა დასახულ უახლოეს მიზნების განხორციელება, მაგრამ არსებულ მძიმე პირობებში მაინც ბევრი რამ გაუკეთებია: შეუკეთებია ყველა სკოლები და საჭირო სამეცადინო საგნებით უზრუნველუყვია, გაუხსნია ახალი სკოლა ს. სახვლარში, მოუწყვია სამკითხველოები და სხვ. გამგეობას დაუარსებია აგრეთვე სასურსათო საწყობი, მოუტანია სხვადასხვა პირველმოთხოვნილების საგნები,—მატყლი, მარილი, რომელთაც ურიგებს ხალხს, გამოუწერია ნავთი და სხვ. დაუნიშნებია სამმართველოსათვის საჭირო საგნები. შეუსწორებია ბილიკები, ხოლო გზების შეკეთება ნაადრევ ზამთრის გამო ვერ მოუხერხებია; აუკრებია სახელმწიფო გადასახადი და ყოველივე განკარგულებანი მმართველ ორგანოებისა საჩქაროთ ყოფილა სისრულეში მოყვანილი, ყველა მობილიზაციები შესაფერათ ჩაუტარებია და არ დაუტოვებია არც ერთი დეზერტირი თემის ფარგლებში. 12 დეკემბრის საბჭოს დადგენილებათა შორის აღსანიშნავია შემდეგი: ა) იძულებითი სესხის აღება ერთ მილიონ მანეთამდე, რომლითაც იქნება შეძენილი სიმინდი, რომელიც საჭიროების მიხედვით უნდა გაუნაწილდეს ღარიბ გლეხებს. ბ) სამმართველოს ბინაზე მეფუტკრეობის კურსების გახსნა, რაც უღრესათ მნიშვნელოვანია და ამისთვის ადგილობრივადაც მოიძებნება საკმაო ცოდნით აღჭურვილი ლექტორი. 3) კომისიის არჩევა ახალ კოოპერატივის დასაარსებლათ; ძველი კოოპერატივის გამგეობის მოქმედება—მოღვაწეობის რევიზია და ბოროტ-მოქმედ პირთა (თუ ასეთები აღმოჩნდებიან) პასუხის გებაში მიცემა.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ისეთ ენერგიულ პირების ხელმძღვანელობით, როგორიც დღეისა ჰყავს თემს, მომავალში თემის მდგომარეობა შესამჩნევად გაუმჯობესდება.

კონ. ტაბატაძე

## წერილი რედ. მიმართ

ვინმე ველეთელი „სახალხო საქმის“ № 1005-ში ეხება ადგილობრივათ მომუშავე სამს პიროვნებას: ქალაქის თავს ვიქ. ღლონტს, თემის თავმჯდომარეს ქ. შახნაზაროვს და მასწავლებელს ვ. დავითიანს. ჩვენ აქ გვინდა ვთქვათ ორიოდე სიტყვა მხოლოდ პირველის შესახებ. აი, როგორ ამკობს „ველეთელი“ ვიქ. ღლონტს.

— „ვ. ღლონტი არის უთაობის დროის სახელგანთქმული თავი“ რომელმაც ერთ დროს დასტოვა ოზურგეთი, როდესაც ამ ქალაქს უახლოვდებოდნენ ოსმალები. შემდეგ მიდის ბოდვა პურზე, ხორცზე, ვიღაც მატრონიშვილზე, ღლონტის მიერ დაყენებულ შ. ჟ.-ზე, ფრაქციის უნდობლობაზე და ღლონტის გამართლებაზე.

ყოველივე აქ ნათქვამი მარტო ღვარძლი და ჭორია.

დავიწყოთ ოზურგეთის დატოვებიდან. ამ საკითხის შესახებ არც ერთ ოპოზიციის ორგანოს არ უწერია. იმის მეთიდიც კი, რაც სწერა თვით ჩვენმა პარტიულმა ორგანომ. მოგაგონოთ ამხ. ანანიას და სხვების წერილები „ერთობის“ ფურცლებზე და ვ. ღლონტის მოკლე პასუხი. შემდეგ გურიის ცენტრ. კომიტეტმა დანიშნა საგანგებო გამოძიება და პარტიულმა ყრილობამ, საკითხის ყოველმხრივი გაშუქების შემდეგ, სრულიად გაამართლა ამხ. ღლონტი და სხვები მაშინდელი მისი თანამშრომლები. ეს დადგენილება იყო დასტამბული თავის დროზე ქართულ და რუსულ გაზეთებში. და მთელი გამოძიება და საქმის წარმოება კი ინახება გურიის კომიტეტის არქივში. ყოველშემთხვევაში ეს არც ისე იოლი საკითხია, რომ ყველა ნაცარქექიას შეეძლოს მისი შეხება. და, რომც დეფექტი დიდი დეფექტი იყოს, ეს ამხ. ვ. ღლონტის ცხოვრებაში რა საჭირო იყო ამ ამბავის ხსენება აქ, ბორჯომში? ცხადია მხოლოდ იმ მიზნით, რომ შექმნან ღლონტის საწინააღმდეგო ატმოსფერა სწორეთ იმ მომენტში, როცა ქალ. ბორჯომის გარშემო დიდი დავა არის ატეხილი და როცა ეს საკითხი დასმულია მთავრობაში გადასაჭრელათ, რომ ამით დააზიანონ ქალაქის ინტერესები.

ივნისიდან დაწყებული ქალაქი აწვდის მცხოვრებთ პურსა და ხორცს, რამდენადაც შეუძლია ახალ მოსაწყობ ქალაქს, რომელსაც აუარებელი მტერი ჰყავს ნუ. თუ ეს უნდა ჩამოერთვას ნაკლათ მარტო იმიტომ, რომ ეს სიმართლე დასწერა მატრონისშვილმა, ან და, ვთქვათ, ამხ. ღლონტის მიერ დაყენებულ შ. ჟ-ს დაიდვა ფული გადასახდელათ ქალაქის საწყობიდან. განა ასეთი მოვლენისაგან არის ვინმე დაზღვეული დღევანდელ პირობებში? ან რა შუაშია აქ თვით ვ. ღლონტი! მაგრამ თავი და თავი ის არის, რომ ესეც სიცრუე და ჭორია შ. ჟ-სთან ანგარიში გაკეთებული და გამორკვეულია. მისი დაჭერა არავის გაწუხრახავს იმის გამო, რადგანაც ამაში საჭიროება არ ყოფილა. ქალაქს მაღაზია არ ჰქონებია და არც აქვს, მას აქვს მხოლოდ საწყობი, რომლისაგან, როცა რამ იყო, ყველა იღებდა წილხდომილათ. ქალაქს რომ სასურსათო მაღაზია ჰქონდეს პირველი საჭიროების საგნებისა (რომლის გახსნას ეხლა ფიქრობს ის), მაშინ მიწოდების საქმეც სხვა წესით იქნება მოწყობილი, საწყობი და სავაჭრო დუქანი არ არის ერთი და იგივე და წესებიც, რასაკვირველია, სხვა და სხვანაირი იქნება.

ბორჯომი არის ახალი ქალაქი ფინანსიურათ და ეკონომიურათ მოუმაგრებელი, უტრადიციო, მაგრამ მისი მდგომარეობა ძრიელ მძიმეა სხვა მხრივაც. ადგილობრივათ არის სამი მმართველობა: ქალაქის თვითმმართველობა, მამულის სამმართველო და საკურორტო სამმართველო. და ღლონტიც იმიტომ იყო მოწვეული, რომ საქმე მოეგვარებია. რომ „სახალხო საქმეც“ სწორეთ ამავე აზრის იყო მაშინ, ეს, სხვათა შორის, სჩანს შემდეგი სიტყვებიდან:— დიდი კვლევა ძიებისა და ხვეწნა-მუდარის შემდეგ ბორჯომის თვითმმართველობა ეღირსა ხელმძღვანელს, თავს. რადგანაც ქალაქს გამიჯნული ტერიტორია ჯერ არ მოეპოვებოდა, ბევრი სადავო საკითხია კანტორასა და ქალაქს შორის, თითქმის ყველა გაურბოდა ეკისრა თავობა ასეთი გამოურკვეველი ქალაქისა. მით უმეტეს დღეს, როცა რაიმე საქმე რომ გააკეთო პირნათლად, ბევრი პირადი უსიამოვნება უნდა შეიხვედრო. არ შეუშინდა შექმნილ მდგომარეობას მოქალაქე ვიქ. ღლონტი და აგერ ერთი თვეა შეუდგა ნაკისრ მოვალეობის ასრულებასო და სხვა“— იხ. „სახალხო საქმე“ № 821—ეს მდგომარეობა რომ ასეა, ეს მოეხსენება მთავრობას, თვით „სახალხო საქმე“ მესვეურთ, ქალაქის საქმეებთან ახლო მდგომი, ქალაქია კავშირის მთავარი კომიტეტის წევრი ს. მდივანს, არ. ჯაჯანაშვილს და სხვებს და ამას შემდეგ ჩვენ მხოლოდ გვიკვირვებს როგორ დაუთმო „სახალხო საქმე“ ალაგი „ველეთელს.“

საზიზღარი ჭორია აგრეთვე „ველეთელის“ ცნობა, თითქოს ამხ. ღლონტს განესაჩივრებიოს თვისი ფრაქციის მოქმედება კოლექტივში. თუ რაიმე უთანხმოებას ჰქონდა ადგილი ამხ. ღლონტსა და ფრაქციას შორის, ის ჩვეულებრივათ ამოიწურა საშინაო საშუალებით და ამ უთანხმოების შინაარსი იყო სულ სხვა პრინციპიალური ხასიათის საკითხი, რომელსაც ადგილობრივი ქალაქისათვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. უმაღლესმა ორგანომ ამის შესახებ თავისი სიტყვა სთქვა და ის უმაღლესი ორგანო ამ საქმეში ჩაერია არა ვ. ღლონტის, არამედ თვით ფრაქციის მოწოდებით. და „ველეთელი“ როგორ აწვდის „სახალხო გაზეთს“ ასეთ ჭორს? მაგრამ ამაზე ალბათ თვით კოლექტივი იტყვის სიტყვას.

შახნაზარიანცის და დავითიანცის ხსენება რათ დასჭირდა „ველეთელს.“ ეს ხომ პირწმინდათ განმეორებაა იმის, რაც ერთ კრებაზე განაცხადეს ვ. ღლონტის მოწინააღმდეგებმა.

ამნაირათ, ღვარძლი, შური, ჭორი და ინსინუაცია—აი რას შეიცავს „ველეთელის“ წერილი,

ფენიქს

---

რედაქტორი დავით ნაჭყებია.



## განცხადებანი

კბილის ექიმი

**ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა**

ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანანოვის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

---

ყოფ. გიმნაზიის [illegible] და გამგე მათემატიკის [illegible]

ი. მაჩაიძე ამზადებს

**საშუალო სასწავლებლის**

ყოველ კლასებში შესასვლელად და 4, 6 კლასის მოწმობაზე ივნისის და სექტემბრის გამოცდებზე. პლეხანოვის ქ. № 25 (ალექსის ქ. კუთხე № 5) ნახვა 9—12 ს. 4—6 ს. (138—6—3).

---

ექიმი **მ. ა. შაფრანი**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების 4—5 ს. [illegible] (13 თებ.)

---

**კერძო სამკურნალო**

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

**ე. მ. მქინარიშვილისა**

შეხაპუნება „606“ და „914“.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (11 თებ.)

---

ექიმი

**ი. ვ. ხანდამოვი**

სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავადმყოფობანი ავადმყოფების მიღება დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (7 თებ.)

---

ქირურგიული და ქალთა სნეულების

**სამკურნალო**

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

**გოკიელისა**

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროლექტორ „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ. № 5—9 7 დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—იანვ.

---

დოქტორი

**გ. გ. მეგრაბიანცი**

შინაგანი ავადმყოფობა—ელექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეთში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 28 იანვ.

---

ექიმი

**მ. ი. კალანდაძე**

ღებულობს შინაგანი ავადმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (წამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (7—თებ.

---

**ქ. ზ. ვართანოვი**

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულება (სიფილისი „606“ და „914“ შეხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. ღარიბები უფასოთ. (29—თებ.)

---

ექიმი

**ა. ლევენშტეინი**

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12—იანვ.

---

**სამკურნალო**

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

**მიხეილ ბედევანიშვილისა**

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ჟურნალოვის ქ., 28, ტელეფ. 7—91 (1—თებ.)

---

ექიმი

**ნ. ა. არუთინოვი**

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურობა ნერვიული (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილით 10 11 ნახ. ს. საღ. 5 7 საათამდე. 15—იანვ.



*) ფული მივიღეთ.